



იურისტის ბიბლიოთეკა

რამაზ კვარაცხელია

ბანზრას მკვლევრობისა და
სიცოცხლის მოსპობის სხვა
შემადგენლობათა
კვალიფიკაცია

თბილისი 2008

ნაშრომს ვუძღვნი ჩემი მასწავლებლის
ზურაბ ზუხბაიას ნათელ ხსოვნას

დიდი ყურადღების გამოჩენა მართებს ყველა იმ პირს, რომელიც ქმედების კვალიფიკაციას ახდენს, რადგან მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. გამოძიების ორგანოების მუშაობა მიერ კანონების ზედმიწევნით ცოდნა და მათი ობიექტურად შესრულება ქმედების სწორი კვალიფიკაციის საფუძველია.

მიუხედავად დიდი მონდომებისა და სწრაფვისა, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ხარვეზებისაგან დაზღვეული ვერ იქნება, ამიტომ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სასამართლოებმა უნდა გადადგან ქმედითი ნაბიჯები. მოსამართლეების სწორ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული არამარტო მართლმსაჯულების განხორციელების სისწორე, არამედ კანონიერების განმტკიცება.

რამაზ კვარაცხელია

2006 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....7

თავი I

ბანზრას მკვლელობის ძირითადი შემადგენლობა

§1. განზრას მკვლელობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება.....15

თავი II

ბანზრას მკვლელობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები

§1. მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილი განზრას მკვლელობის კვალიფიკაცია.....21

§2. მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით ჩადენილი განზრას მკვლელობის კვალიფიკაცია.....23

§3. განზრას მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრას უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.....25

§4. განზრას მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით.....28

§5. ჯგუფურად ჩადენილი განზრას მკვლელობის კვალიფიკაცია.....29

§6. ორი ან მეტი პირის განზრას მკვლელობის კვალიფიკაცია.....39

§7. განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრას მკვლელობის კვალიფიკაცია.....41

§8. ანგარებით ან შეკვეთით ჩადენილი განზრახ
მკვლელობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება
და მისი კვალიფიკაცია.....46

თავი III

განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის შემადგენლობები

§1. მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით.....59

§2. დედის მიერ ახალშობილის განზრახ
მკვლელობის სისხლისსამართლებრივი
დახასიათება და მისი კვალიფიკაცია.....63

§3. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს
გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის
კვალიფიკაცია.....69

§4. დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი
ზომის გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის
კვალიფიკაცია.....75

§5. თვითმკვლელობამდე მიყვანა.....80

§6. სიცოცხლის მოსპობა
გაუფრთხილებლობით.....83

ბამოქმენებული ლიტერატურა.....87

შესავალი

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს მაშინ აქვს ადგილი, როცა ქმედება შექმნის სიცოცხლის მოსპობის საფრთხეს ან მოსპობს მას. ადამიანის სიცოცხლე ხელშეუვალია და მას იცავს კანონი, ამიტომაც, რომ მისი ხელმყოფის მიმართ დაწესებულია სასჯელი.

ვინაიდან ჩვენი შესწავლის საგანს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული წარმოადგენს, განვიხილავთ და დავახასიათებთ მკვლელობის კანონით გათვალისწინებულ სახეებს სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით.

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულთა შორის ერთ-ერთი უმძიმესია განზრახ მკვლელობა. გარდა ამისა, კოდექსი ითვალისწინებს მკვლელობის შემადგენლობის სხვადასხვა სახეს. ძველი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა მკვლელობის ექვს შემადგენლობას: განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, განზრახ მკვლელობა ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს, გაუფრთხილებლობით მკვლელობა, თვითმკვლელობამდე მიყვანა. აღნიშნული მუხლები უცვლელი დარჩა ახალ კოდექსში და მას დაემატა კიდევ რამდენიმე მუხლი. ესენია: მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით.

იმისათვის, რომ ქმედებას მიეცეს სწორი შეფასება და დადგინდეს მკვლელის პიროვნება, აუცილებელია ჩატარდეს სრული საგამოძიებო მოქმედება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ირღვევა სისხლის სამართლის მატერიალური და პროცესუალური ნორმების მოთხოვნები. დეტალურად არ არის შესწავლილი მკვლელობის შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური მხარის ყველა ელემენტი. თუ არ გაირკვა საქმის ვითარება, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს თვითმკვლელობას, არანაძალადევი სიკვდილს, უბედურ შემთხვევას და ა. შ.

სასამართლო მედიცინაში მიჩნეულია, რომ ადამიანის სიკვდილი არის მთლიანი ორგანიზმის სიკვდილი. ამდენად ეს ბუნებრივი პროცესია ვინაიდან არსებობს სიცოცხლე და არსებობს ამ სიცოცხლის ლოგიკური დასასრული.

ორგანოში თავში, ე.ი. ითვალისწინებდა, რომ შეიძლებოდა დამდგარიყო სიკვდილი და უშვებდა ასეთი შედეგის დადგომას.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ პ-ს სხეულის მძიმე დაზიანება მიყენებული ჰქონდა თავში, რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი. სხეულის დანარჩენ ნაწილში კი მას მიყენებული ჰქონდა სხეულის მსუბუქი დაზიანება.

ამდენად პ. გარდაიცვალა ა-ს მიერ თავში მიყენებული მძიმე დაზიანების შედეგად და არა ზ-ს მიერ პ-სათვის მიყენებული დაზიანებით. ზ-ს ქმედება არ ითვალისწინებდა დაზარალებულის სიკვდილს და არც არაფერი დაუკეთებია მას საამისოდ, პირიქით, იგი მამამისს სთხოვდა, თავი დაენებებინა პ-ს ცემისათვის ამრიგად ზ-ს ქმედება მოიცავს მხოლოდ დაზარალებულის ცემას შურისძიების მოტივით და მისი ქმედება სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორად არის დაკვალიფიცირებული.

მკვლელობის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სუბიექტური მხარის ფაქულტატიური ელემენტების გარკვევას, როგორცაა დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი.

განზრახ მკვლელობის ძირითადი
შემადგენლობა

§1. განზრახ მკვლელობის სისხლისსამართლებრივი
დახასიათება

*განზრახ მკვლელობა,-
იჭყება თავისუფლების აღკვეთით ვადით შეიდიდან
თხუთმეტ წლამდე.*

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის. მკვლელობის ეს სახე იმდენად გასაგები და ცნობილია, რომ კანონმდებელმა მისი ცნება მოათავსა მარტივ დისპოზიციასში, რითაც გამორიცხა საკანონმდებლო წესით მისი განმარტება. მკვლელობის ეს სახე გულისხმობს ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ განზრახ მოსპობას. ასეთ მკვლელობას ადგილი აქვს შურისძიების ან ეჭვიანობის ნიადაგზე, ასევე ჩხუბის დროს.

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 111-ე, და 113-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შემადგენლობას, კერძოდ სსენებული მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებულ ნიშნებს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჩხუბის დროს მკვლელობის ჩადენა თავისთავად არ გულისხმობს 108-ე მუხლით მკვლელობის დაკვალიფიცირების აუცილებლობას. მთავარია დადგინდეს რამდენიმე გარემოება.

- ჩხუბის მიზეზი
- მკვლელობის საფუძველი. კერძოდ, ხომ არ ჰქონდა ადგილი პირად განაწყენებას, დამნაშავე ხომ არ მოქმედებდა შურისძიების მიზნით ან ხულიგნური ქვენაგრძნობით.

გარდა ამისა, უნდა გაირკვეს რა დამოკიდებულება ჰქონდათ დაზარალებულსა (მსხვერპლსა) და დამნაშავეს ერთმანეთთან, იცნობდნენ თუ არა ისინი ერთმანეთს, რა გარემოებები უსწრებდა წინ ჩხუბის დაწყებას, ხომ არ იმყოფებოდა დამნა-

შავე აუცილებელი მოგერიების ან აფექტის მდგომარეობაში და სხვა.

ძველ კოდექსზე დაყრდნობით სასამართლო პრაქტიკაში განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია ეძლეოდა ისეთ მკვლევლებს, როგორცაა მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (აქ იგულისხმებოდა სიკვდილის პირას მისული მძიმე ავღამყოფის მკვლელობა, რომელიც ჩადენილი იყო მისი შებრალების გამო, ტანჯვის დასრულების მიზნით ამასთან მნიშვნელობა არ ჰქონდა, დაზარალებულმა სთხოვა თუ არა მკვლელს მოესპო მისთვის სიცოცხლე-რ.კ.) განზრახ მკვლელობად კვალიფიცირდებოდა დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ. ასეთ ვითარებაში ჩადენილი მკვლელობების განხილვისას სასამართლო მათ ითვალისწინებდა, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას.

ზემოთ ხსენებულ მკვლელობებს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის დისპოზიცია არ მოიცავს რადგან ახალ კოდექსში ისინი ცალკე მუხლად არის გამოყოფილი და მათ შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა გვექონდეს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ მკვლელობაზე, პრაქტიკიდან მოვიყვან ერთი მკვლელობის და ერთი მკვლელობის მცდელობის მაგალითს.

გ. და ა. ცხოვრობდნენ ერთ ქუჩაზე, მეზობლად. სამი წლის წინ მათ მოუვიდათ უთანხმოება კანალიზაციის მილის გაყვანასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მათ ჰქონდათ ცუდი ურთიერთობა, ერთ დღეს გ-მ სახლში ვახშამზე დალია ერთი ბოთლი არაყი და შამპანური, შემდეგ მთვრალ მდგომარეობაში გავიდა ქუჩაში, სადაც შემთხვევით შეხვდა ა-ს, რომელმაც უხეშად მიმართა მას და დაუწყო გინება, რაც ჩხუბში გადაიზარდა. ა-მ გ-ს ხელი ჰკრა და წააქცია. გ. საპასუხოდ განაწყენდა, წამოდგა და შევიდა სახლში, მან განიზრახა მოეკლა ა. ამ მიზნით სახლიდან გამოიტანა პურის საჭრელი დანა, მივიდა ა-სთან და მოსთხოვა იმ შეურაცყოფელი სიტყვების განმეორება, რაც რამდენიმე წუთის წინ უთხრა. ა-მ კვლავ შეაგინა, გ-მ საპასუხოდ მუცელში დაარტყა დანა, რის შედეგადაც ა. წვრილი ნაწლავის და ჯორჯლის არტერიის დაზიანების გამო, ზოგადი მწვავე სისხლნაკლებობით გარდაიცვალა გ. კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გ-ს აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა 108-ე მუხლით. გ. არ დაეთანხმა საოლქო სასამართლოს განაჩენს და გაასაჩივრა იგი უზენაეს სასამართლოში, სადაც ის აღნიშნავდა, რომ მას ა-ს მოკვლის განზრახვა არ ჰქონია. მართალია დანა დაარტყა მაგრამ არა იმ მიზნით, რომ იგი მოეკლა არამედ იმიტომ, რომ მიეყენებინა რაიმე მსუბუქი დაზიანება.

მკვლელობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია განზრახვის დადგენა, რაც შესაძლებელია არამართო დამნაშავეის ჩვენებით, არამედ მის მიერ განხორციელებული ქმედებით. ზემოთ აღნიშნულ ვითარებაში მკვლელობის ჩამდენ პირებს ყოველთვის რჩებათ შესაძლებლობა უარყონ მკვლელობის განზრახვის არსებობა, მაგრამ როდესაც პირი შეგნებულად ურტყამს დანას სიცოცხლისათვის საშიშ ისეთ ადგილზე, როგორცაა მუცელი, მაშინ უსაგნოა საუბარი მკვლელობის განზრახვის არარსებობაზე. ამიტომ სავსებით საფუძვლიანად არ გაიზიარა მსჯავდებულის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ და აღნიშნა, რომ “პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავდებულ გ-ს განმარტებას იმ ნაწილში, რომ მას ა-ს მოკვლა არ სურდა, ა-ს მკვლელობის განზრახვა დადგენილია თვით მსჯავდებულის მიერ განხორციელებული მოქმედებით, გ. რომელსაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდა ა-სთან, მასთან შელაპარაკების და ჩხუბის შემდეგ შევიდა სახლში, სადაც აიღო პურის საჭრელი დანა და დაბრუნდა ისევ ა-სთან ეს მოქმედება მიუთითებს, რომ მსჯავდებულს სახლში დაბრუნებისას და დანის აღებისას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. გ-მ დანა დაარტყა ა-ს მუცელში, სადაც მოთავსებულია უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ორგანოები, როგორცაა ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ჯორჯლის არტერია, მას შეგნებული ჰქონდა, რომ ა-ს სიცოცხლისათვის საშიშ ორგანოში აყენებდა დაზიანებას, რითაც უშვებდა მისი სიკვდილის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი”².

ამდენად სასამართლომ უცვლელად დატოვა თავდაპირველი კვალიფიკაცია, რაც სწორად მიგვაჩნია, რადგან ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, რაც შეიძლება დადასტურდეს დამნაშავეის მოქმედებით, რომელსაც მისი შეგნებით უნდა გამოეწვია სიკვდილი.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. 2001 წ. გვ. 831. საქმე № 103-აპ.

პრაქტიკაში მქონდა ასეთი შემთხვევა: ვიძიებდი განზრახ მკვლელობის მცდელობის საქმეს, სადაც არასრულწლოვანმა დანით დაჭრა მასთან კონფლიქტურ ურთიერთობაში მყოფი პიროვნება.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილი იყო შემდეგი:

2007 წლის 8 სექტემბერს დახლოებით 19:00 საათზე გ. ხ. იმყოფებოდა ქ. ზუგდიდში რკინიგზის სადგურის წინ მდებარე ტერიტორიაზე, სადაც შეხვდა მასთან კონფლიქტურ მდგომარეობაში მყოფ, დუშეთის რაიონის სოფელ ბინჩიგაურში მცხოვრებ ზ. ნ.-ს, რომელთანაც მოუვიდა შელაპარაკება, რა დროსაც გ. ხ.-მ განიზრახა დანის ჩარტყმით ამ უკანასკნელისათვის სიცოცხლის მოსპობა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მან ჯიბის საკეცი დანა ზ. ნ.-ს ჩაარტყა მარჯვენა გვერდში, რითაც მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში მძიმე ხარისხის დაზიანება, კერძოდ მუცლის ღრუში და პლევრის ღრუში შემღწევი ჭრილობა ღვიძლის დაზიანებით, დიაფრაგმის დაზიანებით, ხოლო შემდგომ გ. ხ. შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

გამოძიების პროცესში ბრალდებულ გ. ხ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა თ. გ.-მ იშუამდგომლა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე უნდა შეიცვალოს კვალიფიკაცია და გ. ხ.-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილით, რადგან მისი აზრით, საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მის დაცვის ქვეშ მყოფს არ ჩაუდენია, გ. ხ.-ს მხრიდან მკვლელობის ჩადენისაკენ უშუალოდ მიმართულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. ადვოკატი თ. გ. შუამდგომლობაში აღნიშნავდა, რომ „კონკრეტულ შემთხვევაში, თუკი გ. ხ.-ს განზრახული ჰქონდა ზ. ნ.-სათვის სიცოცხლის მოსპობა, შეასრულა მან ყველა ის მოქმედება, რაც მისთვის სასურველ შედეგს დააყენებდა? ეს ხომ ფაქტია, რომ შემთხვევის დროს ისინი მარტო იყვნენ, ანუ რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორი, რასაც შეიძლებოდა ხელი შეეშალა გ. ხ.-სთვის არ არსებობდა...”

ამასთან ადვოკატის აზრით, „სასოწარკვეთაში მყოფმა, როცა ბოლო იმედიც გადაეწურა, რომ შეიძლებოდა თბილისში ერთად დაბრუნებულიყვნენ, გააკეთა ის, რაც გააკეთა, მაგრამ არაერთარ შემთხვევაში მისთვის სიცოცხლის მოსპობის სურვილით, არამედ მისი გამწარების მიზნით...” ამიტომ ითხოვდა პიროვნული მახასიათებლების და წარსულის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლას.

ბრალდებულ გ. ხ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობა უსაფუძვლო იყო და ამიტომ ის ჩემს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული. დამცველის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში აღვნიშნე შემდეგი:

„1. სისხლის სამართლის კოდექსის 19-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: “დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახვი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ, მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.”

მცდელობის შემთხვევაში შეიძლება ქმედება ვერ იქნეს მიყვანილი ბოლომდე ან იგი მიყვანილ იქნას ბოლომდე, მაგრამ შედეგი ვერ იქნეს მიღწეული მიუხედავად დანაშაულის ამსრულებლის სურვილისა და სწრაფვისა, მაგრამ ყველა შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩამდენი რეალიზაციას გაუკეთებს მის დანაშაულებრივ განზრახვას, გამოიყენებს მზადებით შექმნილ გარემოებებს, მაგრამ მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ვერ მიაღწევს მიზანს დანაშაულებრივ შედეგს, სახეზეა დანაშაულის ჩადენის მცდელობა. ეს ის არის, რაც საკმარისია დანაშაულებრივი ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით დაკვალიფიცირებისათვის. გ. ხ.-ს შემთხვევაში ქმედება მიყვანილ იქნა ბოლომდე, მაგრამ შედეგი ვერ იქნა მიღწეული. კერძოდ გ. ხ.-მ ჯიბის საკეცი დანაზ. ნ.-ს ჩაარტყა მარჯვენა გვერდში, რითაც მუცლის ღრუში და პლევრის ღრუში მიაყენა შემღწევი ჭრილობა ღვიძლის და ღიაფრაგმის დაზიანებით აღნიშნული კი საკმარისი იყო ზ. ნ.-ს სიცოცხლის მოსასპობად, მაგრამ დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგად სასიკვდილო შედეგი თავიდან იქნა აცილებული. უფრო მეტიც გ. ხ.- გაიქცა შემთხვევის ადგილიდან და არც უცდია დახმარებოდა ზ. ნ.-ს.

2. მკვლელობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია განზრახვის დადგენა, რაც შესაძლებელია არამარტო ბრალდებულის ჩვენებით, არამედ მის მიერ განხორციელებული ქმედებით. ზემოთ აღნიშნულ ვითარებაში მკვლელობის მცდელობის ჩამდენ პირს და დამცველს ყოველთვის რჩებათ შესაძლებლობა უარყონ მკვლელობის განზრახვის არსებობა, მაგრამ როდესაც პირი შეგნებულად ურტყამს დანას სიცოცხლისათვის საშიშ ისეთ ადგილზე, როგორცაა მარჯვენა გვერდი, მუცლის და

პლევრის ღრუ, რის შედეგადაც ზიანდება ღვიძლი და დიაფრაგმა, მაშინ უსაგნოა საუბარი მკვლელობის განზრახვის არარსებობაზე. ამიტომ ვერ გავიზიარებ ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის განმარტებას იმ ნაწილში, რომ გ. ხ.-ს არ სურდა ზ. ნ.-ს მოკვლა, ზ. ნ.-ს მკვლელობის განზრახვა დადგენილია თვით ბრალდებულის მიერ განხორციელებული მოქმედებით, გ. ხ.-ს რომელსაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდა ზ. ნ.-სთან, მასთან შელაპარაკების დროს ჩაარტყა დანა ეს მოქმედება მიუთითებს, რომ ბრალდებულს დანის ამოღებისას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. გ. ხ.-მ დანა ჩაარტყა ზ. ნ.-ს მარჯვენა გვერდში, მუცლის ღრუში და პლევრის ღრუში სადაც მოთავსებულია უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ორგანოები, როგორცაა ღვიძლი და დიაფრაგმა, მას შეგნებული ჰქონდა, რომ ზ. ნ.-ს სიცოცხლისათვის საშიშ ორგანოში აყენებდა დაზიანებას, რითაც უშვებდა მისი სიკვდილის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი.

ამდენად უცვლელად დავტოვეთ კვალიფიკაცია, რადგან ამ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილი იყო პირდაპირი განზრახვით, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

თავი II

განზრახ მკვლელობის მაკვალიფიციირებალი ნიშნები

**§1. მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის
სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი
მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილი
განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია**

განსახილველი მუხლის პუნქტი ითვალისწინებს ისეთ მკვლელობას, რომელიც დაკავშირებულია მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნის თანახმად ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე. როგორც განსახილველი მუხლის შინაარსიდან ირკვევა მკვლელობა დაკვალიფიცირდება 109-ე მუხლის I ნაწილის “ა” პუნქტით მხოლოდ მაშინ, თუ ის ჩადენილია ზემოთ ჩამოთვლილი პირების სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

სამსახურებრივი საქმიანობა ნიშნავს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ კერძო დაწესებულებაში საქმიანობას, რომელშიც იგულისხმება სამსახურებრივ მოვალეობათა ის წრე, რომელიც მას აქვს დაკისრებული, გარდა ამისა მასში მთლიანად შედის შრომითი საქმიანობა. რაც შეეხება, საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას მასში იგულისხმება პირის მიერ მასზე სპეციალურად დაკისრებული მოვალეობის შესრულება, აგრეთვე ისეთი საქმიანობა, რომელიც პირთა ინტერესების შესაბამისად ან საზოგადოებისათვის სასარგებლოდ ხორციელდება.³

კვალიფიკაციისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მსხვერპლი ან მისი ახლო ნათესავი უნდა მოქმედებდეს კანონიერად. ანუ მკვლელობა უნდა მოხდეს მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის მიერ კანონიერად შესრულებუ-

³ ზ. წულაია, სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. თბ. 2000 წ. ტ. I. გვ. 53. მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), ლექციები. თბ. 1996 წ. გვ. 45

ლი საქმიანობისათვის მისთვის სამაგიეროს გადახდის მიზნით. მაგალითად, განაჩენის გამოტანის შემდეგ და შესაბამისი ორგანოს მითითების საფუძველზე მსჯავრდებულ გ-ს ციხეში გადაყვანა დაევალა საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებს მ-ს, კ-ს და ო-ს. მათ გ. მიიყვანეს ციხეში, სადაც ამ უკანასკნელმა მოიხადა 2 (ორი) წელი. ციხიდან გამოსვლის შემდეგ გ. იყო განაწყენებული ზემოთხსენებული თანამშრომლების მიერ ციხეში მისი გადაყვანის გამო და სამივე მოკლა. ასეთი ქმედება ჩაითვლება განსახილველი მუხლის პუნქტით გათვალისწინებულ მკვლელობად.

თუ კი თანამდებობის პირმა გადააჭარბა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ან ბოროტად გამოიყენა ის, რითაც დაარღვია და შელახა პირის უფლებები და ამ უკანასკნელმა თუ ის მოკლა, მაშინ ქმედება არ დაკვალიფიცირდება მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილ განზრახ მკვლელობად. მაგალითად, პოლიციის თანამშრომელმა უსაფუძვლოდ დააკავა ქუჩაში მიმავალი ჩხეიძე და სცადა მისი მოთავსება პოლიციის შენობის სარდაფში. იმის გამო რომ ჩხეიძე მძიმე ავადმყოფი იყო და არ შეიძლებოდა მისი დიდხანს გაჩერება საჭმლის გარეშე, რაც საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს. მან გადაწყვიტა რამენაირად თავი დაეღწია ამ საფრთხისაგან და პოლიციელის უკანონო ქმედებისაგან განაწყენებულმა მოკლა პოლიციელი. ასეთი ქმედება არ შეიცავს განსახილველი მუხლის პუნქტით გათვალისწინებულ მკვლელობის შემადგენლობას.

მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის მიერ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მკვლელობას აქვს შემდეგი სავალდებულო ნიშნები:

1. მკვლელობა ჩადენილი უნდა იყოს მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება მის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში;

2. მკვლელობასა და მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას შორის მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს, ეს საქმიანობა უნდა იყოს მკვლელობის მიზეზი;

3. მკვლელს უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ იგი კლავს მსხვერპლს მისი ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივი ან

საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;⁴

ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მკვლელობას მაშინ აქვს ადგილი, როცა მკვლელობა დაკავშირებულია არა მსხვერპლის, არამედ მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან (მაგალითად, ბავშვის მკვლელობა იმის გამო, რომ მისი მამა სასამართლო პროცესზე გამოდიოდა, როგორც ბრალდების მხარის მოწმე)

გასათვალისწინებელია, ის გარემოება რომ ქმედების ამ დანაშაულად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება იმას თუ რა დროს მოხდა მკვლელობა. მაგალითად, მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივი საქმიანობის ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში თუ მის შემდეგ.

მცდელობის შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რომ მკვლელი აპირებდა მკვლელობის ჩადენას სწორედ მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივი საქმიანობის ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

§2. მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია

განსახილველი მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს განზრახ მკვლელობის ჩადენას მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით. იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ აღნიშნული მკვლელობა გულისხმობს არა მარტო იმ პირის მკვლელობას, ვის მძევლად ჩაგდებასაც ცდილობდნენ, არამედ იმ პირის მკვლელობასაც ვინც ხელს უშლიდა პირის მძევლად ხელში ჩაგდებას. ამ საკითხზე პროფ. ალ. კვაშილავა წერს, რომ “ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს მძევლად ხელში ჩაგდების მიზნით ის მოკლა, ვინც მძევლად ხელში უნდა ჩაეგდო, თუ სხვა პირი, რომელიც ამ დანაშაულის განხორციელებაში ხელს უშლიდა”⁵ ამ პოზიციაზე დგას პროფ. ზ.

⁴ მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), ლექციები.თბ.1996 წ.გვ.45-46

⁵ ალ. კვაშილავა, დანაშაულის კვალიფიკაციის თეორიული პრობლემები და სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2002 წ. 41.

წულაია, რომელსაც სწორად მიაჩნია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში მოცემული განმარტება. იქ აღნიშნულია, რომ “ადამიანის მოტაცებას ან მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებულ განზრახ მკვლელობად, უნდა მივიჩნიოთ არა მარტო მხოლოდ მოტაცებულის ან მძევლის მკვლელობა, არამედ სხვა პირების მკვლელობაც. მაგ., ისეთი პირებისა, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს დამნაშავეებს ადამიანის მოტაცებაში, ანდა რომლებიც შეეცადნენ მძევლების გათავისუფლებას.”⁶

თუმცა, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს სხვა დანაშაულის (მძევლად ხელში ჩაგდება) გაადვილების ან დაფარვის მიზნით ჩადენილ დანაშაულად.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მკვლელობა უნდა მოხდეს მძევლად ხელში ჩაგდებაამდე ან ჩაგდების პროცესში. ამიტომ არასწორია იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ თითქოს მსხვერპლი არის მძევლად ხელში ჩაგდებული პირი. მაგალითად, ზ. მუჟანაძე აღნიშნავს, რომ “დანაშაული დამთავრებულად ითვლება მძევლად ხელში ჩაგდებულის სიცოცხლის მოსპობისთანავე”⁷

აღნიშნული მსჯელობა არ შეიძლება სწორი იყოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯერ ერთი იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდება ხდება იმ მიზნით, რომ შემდგომში მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ესა თუ ის ორგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. ამდენად პირის მკვლელობას მძევლად ხელში ჩაგდების დაწყებამდე პირდაპირი განზრახვით აზრი არა აქვს. ამიტომ ეს დანაშაული დამთავრებულად ითვლება არა მძევლად ხელში ჩაგდებული პირის, არამედ მძევლად ხელში ჩასაგდების არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობისთანავე.⁸

როგორც ვხედავთ, მსხვერპლი არ შეიძლება იყოს მძევლად ხელში ჩაგდებული. კანონის მუხლის დისპოზიცია ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს არ იძლევა, რადგან 109-ე მუხ-

⁶ ზ. წულაია, სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. თბ. 2000 წ. გვ. 56.

⁷ ზ. მუჟანაძე, სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ქუთაისი 2000 წ. გვ. 26

⁸ აქ იგულისხმება ის გარემოება, როცა დაიწყო პირის მძევლად ხელში ჩაგდება, მაგრამ ჯერ არ დამთავრებულა (მცდელობა) და ამ დროს მოხდა მისი მკვლელობა. ესე იგი მკვლელობა უნდა მოხდეს პირის მძევლად ხელში ჩაგდების პროცესში, მის დამთავრებამდე.

ლის I ნაწილის “ბ” პუნქტით მითითებულია მკვლევლობაზე მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით და არა მძევლად ხელში ჩაგდებულის მკვლევლობაზე.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუ მძევლად ხელში ჩაგდებას მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა. მაგ. პირს ხიცოცხლე მოესპო მის მიმართ განხორციელებული ისეთი ქმედების შედეგად, რომელიც უშუალოდ მიმართული არ იყო მისი სიცოცხლის მოსპობისაკენ. (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა) ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც განზრახ მკვლევლობა მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის III ნაწილის “ბ” პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს პირის მძევლად ხელში ჩაგდებას, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. აღნიშნულ შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობა ხდება გაუფრთხილებლობით.

რაც შეეხება, 109-ე მუხლის I ნაწილის “ბ” პუნქტით გათვალისწინებულ მკვლევლობას ის შეიძლება ჩადენილ იქნეს არაპირდაპირი განზრახვით.

ჩვენი აზრით, ამ მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია პირის მძევლად ხელში ჩაგდებასთან ანუ პირი, რომელსაც კლავენ არ შეიძლება იყოს მძევლად ხელში ჩაგდებული. მკვლევლობა უნდა მოხდეს მძევლად ხელში ჩაგდების, როგორც ცალკე დანაშაულის დამთავრებამდე, ფაქტიურად მცდელობის სტადიაზე. თუ კი მკვლევლობა მოხდა მძევლად ხელში ჩაგდების შემდეგ, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 144-ე, ან 329-ე მუხლის და 108-ე ან 109-ე მუხლების შესაბამისი ნაწილებისა და პუნქტების ერთობლიობით საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

§3. განზრახ მკვლევლობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას

განსახილველი მუხლის პუნქტი ითვალისწინებს ისეთი სახის მკვლევლობას, როდესაც მკვლევლობის იარაღად გამოყენებულია ისეთი საგანი ან საშუალება, რომელიც სასიფათოა არა მარტო იმ პირისათვის ვისაც თავს ესხმიან მკვლევლობის მიზნით, არამედ მის გარშემო მყოფი პირებისთვისაც, ეს ის პირებია, რომლებსაც არავითარი კავშირი მკვლევლობასთან არა აქვთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აუცილებელი არ არის

მოკლულის და სხვა პირები, (რომლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობასაც საფრთხე ექმნება) ერთ ადგილზე იმყოფებოდნენ. მაგალითად, მკვლელობა აფეთქებით მრავალბინიან სახლში. აქ შეიძლება დაზიანდეს ნებისმიერი იქ მცხოვრები პირი და ამავე დროს ბინასთან გამგლელი მოქალაქეც.

ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ განზრახვაში.

პირდაპირ განზრახვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მკვლელობისა და მისი მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართაც რაც იმას ნიშნავს, რომ მკვლელს აქვს განზრახვა ერთი პირის მოკვლისა და სპეციალურად ირჩევს ისეთ საშუალებას, რომელიც საშიშია სხვა პირებისთვისაც. ამას გარდა, შეიძლება სხვა შემთხვევასაც ჰქონდეს ადგილი. მაგალითად, მკვლელს აქვს პირდაპირი განზრახვა მკვლელობის მიმართ, მაგრამ არაპირდაპირი განზრახვა მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართ.

სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი იარაღები ან სხვა საგნები, ნივთიერებები, რომელთაც შეუძლიათ შექმნან საფრთხე ორი ან თუნდაც მეტი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

განზრახ მკვლელობას ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ეხება ბ. ფურცხვანიძე იგი აღნიშნავს, რომ ასეთ მკვლელობას “ადგილი ექნება მაშინ, როდესაც დამნაშავე, მისწრაფვის რა მოკლას ერთი რომელიმე გარკვეული პირი, საფრთხეში აყენებს სხვა პირთა სიცოცხლესაც. მკვლელობის ასეთ საშუალებებს წარმოადგენს სახლის აფეთქება, ადამიანთა ჯგუფში იარაღის გასროლა და ყველა სხვა ისეთი საშუალება, რაც სხვა პირთა სიცოცხლესაც ემუქრება.”⁹

დანაშაულის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია არა მარტო გამოყენებული საშუალების თვისებების გარკვევა, არამედ მკვლელობის ჩადენის კონკრეტული ვითარების დადგენაც.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირის ქმედება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება ამ მუხლის პუნქტით თუ ამ სახის საშუალების გამოყენებამ შექმნა რეალური და არა მოჩვენებითი საფრთხე სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და ამავე დროს მკვლელს შეგნებული ჰქონდა აღნიშნული გარემოება.

⁹ ბ. ფურცხვანიძე - საბჭოთა კანონმდებლობა მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. 1964 წ. გვ. 15

თუ მკვლელს დანაშაულის ჩადენის დროს არ ჰქონდა შეგნებული, რომ მის მიერ გამოყენებული საშუალება საშიშია სხვა პირთათვის, მაშინ აღნიშნული მუხლი (სსკ-ის 109-ე მუხლის I ნაწილის “გ” პუნქტი) კვალიფიკაციისას არ გამოიყენება.

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ “ასეთი სახის მკვლელობის შემადგენლობისათვის არ არის სავალდებულო, რომ დანაშავე პირის ქმედებას შედეგად მოჰყვეს რამდენიმე კაცის სიკვდილი. საკმარისია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ასეთი დანაშაულის ჩადენისას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში იმყოფებოდა.”¹⁰⁰ სავსებით სწორია ასეთი მსჯელობა, რადგან ამ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მართლაც არ არის აუცილებელი რამდენიმე პირის სიკვდილის დადგომა, მაგრამ აუცილებელია ერთი ადამიანის მკვლელობა და თანაც ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ მკვლელობას, რომელიც ჩადენილია სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი საშუალებით მოჰყვა სხვისი ქონების დაზიანება ან განადგურება, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის I ნაწილის “გ” პუნქტისა და 187-ე ან 188-ე მუხლების ერთობლიობით.

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით ორი ან მეტი პირის მკვლელობას ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ასეთი ქმედებები დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის I ნაწილის “გ” პუნქტისა და 109-ე მუხლის III ნაწილის “ა” პუნქტის ერთობლიობით.

“თუ პირს შეგნებული არ ჰქონდა, რომ მის მიერ არჩეული საშუალება საფრთხეს წარმოადგენს სხვა ადამიანთა სიცოცხლისათვის, მაგრამ შექმლო გაეთვალისწინებინა, რომ ამ საშუალების გამოყენებას შედეგად შეიძლება მოჰყვეს სხვა ადამიანის სიკვდილიც, ასეთ შემთხვევაში გვექნება ორი დანაშაულის ერთობლიობა: განზრახვი მკვლელობისა და გაუფრთხილებლობითი მკვლელობისა.”¹⁰¹

¹⁰⁰ ბ. ფურცხვანიძე - საბჭოთა კანონმდებლობა მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. 1964 წ. გვ. 15

¹⁰¹ ვ. მაყაშვილი, შ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე - დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბ. 1980 წ. გვ. 36-37

§4. განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით

აღნიშნული სახის მკვლელობა განეკუთვნება იმ დანაშაულთა კატეგორიას, რომელთა ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. მკვლელობის ამ პუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმ დანაშაულის სიმძიმეს, რომლის დაფარვის მიზნითაც ჩადენილ იქნა მკვლელობა.

გარდა ამისა, კვალიფიკაციის დროს მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმას დანაშაული, რომლის დაფარვის გამოც მოხდა მკვლელობა მკვლელის მიერ არის ჩადენილი თუ სხვა პირის მიერ, მთავარი აქ ის არის, რომ მკვლელობის ჩადენის მიზანი სხვა დანაშაულის დაფარვაა.

სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით ჩადენილ მკვლელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მკვლელობის მიზანს წარმოადგენს იმ დანაშაულის ჩადენის გაადვილება, რომლის ჩადენაც მკვლელს უნდა და რომელსაც მკვლელობის გარეშე სისრულეში ვერ მოიყვანს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დანაშაული რომლის ჩადენის გაადვილებასაც მკვლელობის გზით ცდილობს პირი არ უნდა იყოს დამთავრებული. კვალიფიკაციის პრობლემა წარმოიქმნება, ფორმალური დანაშაულის ჩადენის შემთხვევებში. თუმცა თუ საკითხს სწორად შევისწავლით ასეთი ქმედებების კვალიფიკაცია არ გაგვიჭირდება. მაგალითად, თუ ყაჩაღობის დროს ადგილი პქონდა მკვლელობას, მაშინ უნდა გაირკვეს დამნაშავის მიზანი, ანუ მკვლელობა ნიუთის დაუფლების საშუალებას წარმოადგენდა თუ ყაჩაღობის დაფარვას ემსახურებოდა. აგრეთვე უნდა გაირკვეს, ხომ არ პქონდა ადგილი სხვა მოტივს. კერძოდ, თუ მკვლელობა ყაჩაღური თავდასხმის დროს ნიუთის დაუფლების საშუალებას წარმოადგენს. მაგ., ნ-მ მოკლა ბ. ნიუთის დაუფლების მიზნით თავდასხმის დროს, რადგან ბ. შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია მისთვის. ასეთი მკვლელობის განხილვა, როგორც ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით განხორციელებული მკვლელობისა არ შეიძლება. ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის I ნაწილის “დ” პუნქტში მითითებულია მკვლელობის ჩადენაზე “სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით”, რომელიც გულისხმობს, რომ მკვლელობა ხდება დანაშაულის გაადვილების მიზნით ე.ი. როგორც ვხედავთ დანაშაული დამთავრებული არ უნდა იყოს (თუ დანა-

შაული დამთავრებულია, მაშინ მისი ჩადენის გაადვილება საჭირო არ არის-რ.კ.), ხოლო ყაჩაღობის დროს დანაშაული დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, ამდენად აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს ყაჩაღობას და ანგარებით მკვლელობას, ე.ი. კვალიფიკაცია იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 109-ე მუხლის III ნაწილის “გ” პუნქტი. ყაჩაღობის დროს დანაშაულის გაადვილების მიზნით მკვლელობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მკვლელობა მოხდება ყაჩაღურ თავდასხმამდე. ასე მაგალითად, მცველის მოკვლა და შემდეგ დაცვის ობიექტზე თავდასხმა. ხოლო თუ ყაჩაღებმა დაზარალებული სიცოცხლეს გამოასალმეს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა შეიცნო მათი ვინაობა, მკვლელობა ჩაითვლება ყაჩაღობის დაფარვის მიზნით ჩადენილად. მიუხედავად იმისა, რომ აქ ადგილი არა აქვს დანაშაულის გაადვილების მიზნით ჩადენილ მკვლელობას, ქმედება მაინც დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 109-ე მუხლის I ნაწილის “დ” პუნქტებით, ვინაიდან ახალ კოდექსში მკვლელობის ჩადენა დანაშაულის დაფარვის, ისე მისი ჩადენის გაადვილების მიზნით განთავსებულია ერთი მუხლის ერთ პუნქტში ერთად. (სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის I ნაწილის “დ” პუნქტი განზრახ მკვლელობა: სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით).

§5. ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია

როგორც ვხედავთ, მკვლელობის ჩადენა ჯგუფურად არის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, რომელიც ამძიმებს სასჯელს ამ დანაშაულისათვის.

მუხლში ამ დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინება მეტყველებს მკვლელობის ჯგუფურად ჩადენის უფრო საშიშროებაზე ვიდრე ეს შეიძლება იყოს მკვლელობა ჩადენილი ერთი პირის მიერ. აღნიშნული მაკვალიფიცირებელი ნიშანი გულისხმობს მკვლელობის ჩადენას ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით და მკვლელობას ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის I ნაწილის თანახმად *“დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულეებელი”*

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის II ნაწილის თანახმად *“დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.”*

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის III ნაწილის თანახმად *“დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.”*

მკვლელობის ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს დანაშაულის ჩამდენ პირთა რაოდენობა, უნდა გაირკვეს დანაშაული ჯგუფის მიერ არის ჩადენილი თუ არა. ამასთან გასარკვევია, ხომ არ ჰქონა ადგილი მკვლელობაში თანამონაწილეობას.

თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ თანამონაწილეობა გულისხმობს დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე პირის ერთიანობას. ეს ერთიანობა შეეხება დანაშაულის, როგორც ობიექტურ ისე სუბიექტურ შემადგენლობას, ე. ი. როდესაც ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან. ობიექტური შემადგენლობის ერთიანობა გამოიხატება იმაში, რომ ყოველი თანამონაწილის მოქმედება არის დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელი პირობა, რომ შედეგი ამ მოქმედების გარეშე არ განხორციელდება.

ახლა გავარკვიოთ თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს იმ პირის ქმედება, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა ჯგუფთან ერთად, მაგრამ გამოძიებამ ვერ დაადგინა სხვა თანამონაწილებელთა და თანამონაწილეთა ვინაობა.

აღნიშნულ საკითხს ეხებიან სასამართლო პრაქტიკის კომენტარის ავტორები და სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ *“პირს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს ჯგუფური დანაშაულისათვის, იქნება ეს ყაჩაღობა, ქურდობა თუ სხვა, თუ ჯგუფის ორი წევრიდან ერთი მიმალვაშია ან რაიმე მიზეზით სამართალში მიცემული არ ყოფილა.”¹²*

¹² სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაულები). თბ.2004. გვ.102.

ანალოგიურად მსჯელობს პროფ. ო. გამყრელიძე. მას მიაჩნია, რომ თუ ყაჩაღური თავდასხმის ორი მონაწილიდან ერთი მიმალვაშია და მისი ვინაობა დაუდგენელია, მაშინ მეორემ არ უნდა აგოს პასუხი ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის (179-ე მუხლის II ნაწილის “ბ” პუნქტი), რადგან არა გვაქვს მონაცემები გამოძიების მიერ დაუდგენელი პირის შერაცხვაუნარიანობის შესახებ. პროფ. ო. გამყრელიძეს პირის მსჯავრდება ხსენებული პუნქტით მიზანშეწონილად არ მიაჩნია მაშინაც, როცა მიმალვაში მყოფის ვინაობა ცნობილია და იგი შერაცხვაუნარიანია, რადგან ამ უკანასკნელის მიმართ ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. მას აღიარებენ ჯგუფური დანაშაულის მონაწილედ და ე. ი. დამნაშავედ ისე, რომ გასამართლებული არ არის.¹³

ასეთი მსჯელობა სავსებით ლოგიკურია და სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისითაც მისაღები, რადგან თანაამსრულებლები უნდა მოქმედებდნენ ერთობლივად და ერთიანი განზრახვით, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა თანამონაწილედ და მათ შორის თანაამსრულებელი უნდა იყოს შერაცხადი.

თუ მკვლელობა ჩადენილია ორი პირის მიერ, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია შერაცხადი, მაშინ შეუძლებელია ამ უკანასკნელმა პასუხი აგოს მკვლელობის ჯგუფურად ჩადენისათვის, რადგან ასეთია სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მოთხოვნა.

მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საქმეების შესწავლისას ჩვენ აღმოვაჩინეთ ერთ-ერთი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც გამოტანილია სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევით.

საქმე მდგომარეობს შემდეგში:

განსასჯელი ბახტაძე (გვარები შეგნებულად არის შეცვლილი) ნათესავებთან ჯოჯუასთან, ვეკუასთან და იმნაძესთან ერთად იმყოფებოდა ქალაქ №-ში. დაახლოებით 18 საათზე ისინი ჩასხდნენ შონიას კუთვნილ ავტომანქანაში და გაემგზავრნენ სოფელში... გზაზე მათ მანქანა გააჩერეს ნაცნობ ბიჭებთან, რა დროსაც ყველამ დალია ერთი ბოთლი არაყი. სოფელში მისვლისას ვეკუა და იმნაძე გადმოვიდნენ მანქანიდან, ხოლო ბახტაძე და ჯოჯუა გამობრუნდნენ უკან ქალაქ №-ში. გზაში შეურაცხადმა ჯოჯუამ მძღოლს მოსთხოვა საჭეს-

¹³ ო. გამყრელიძე სასამართლო პრაქტიკის ერთი საკითხის განმარტებისათვის “მართლმსაჯულების მაცნე” 1998 წ. № 4. გვ. 37-39.

თან დაჯდომა, რაზედაც შონიამ უარი განაცხადა, მაშინ ჯოჯუამ დანის გამოყენებით ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას, ემუქრებოდა დანით, დაჭრა თავში; მარცხენა მკლავში, ზურგისა და მარჯვენა ბარძაყში, რითაც შონიას მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება (ამ სახის დაზიანებების მსუბუქი ხარისხის დაზიანებად შეფასება საექვოდ მიგვაჩნია-რ.კ.). ძალადობის გამოყენებით ჯოჯუამ შეძლო სატყესთან დაჯდომა მძლოლი გვერდით ეჯდა, მაგრამ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ჯოჯუამ ვერ შეძლო ავტომანქანის მართვა და ღობეს შეეჯახა, რის შემდეგ სატყეს მიუჯდა ასევე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბახტაძე. მათ გზაზე რამდენჯერმე გააჩერეს მანქანა, რადგან ძრავაში წყალი აღუღდა.

მანქანიდან ბახტაძის ჩამოსვლის შემდეგ ჯოჯუამ ძალადობის და მუქარის გზით შონიას ჯიბიდან ამოუღო 28 ლარი... ქალაქში ჩასვლის შემდეგ პოლიციის ქვეგანყოფილების შენობასთან შონიამ შეძლო მოძრავი ავტომანქანიდან გადმოსტომა და ეს ამბავი აცნობა პოლიციას.

ჯოჯუა და ბახტაძე 2 საათსა და 30 წუთზე დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. ჯოჯუას პირადი ჩხრეკისას ჯიბეში აღმოაჩნდა დასაკეცი დანა, ხოლო ბახტაძეს 5,7 გრამი მარიხუანა. ბახტაძის ქმედება წინასწარ გამოძიებაში დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტით (ძველი რედაქცია).

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ საქმის მასალათა ერთობლიობით დადასტურებულად ჩათვალა, რომ ბახტაძემ ჩაიდინა ავტომობილის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ჯგუფურად, დროებით გამოყენების მიზნით...

განაჩენში აღნიშნულია „ნაცვლად იმისა, რომ ბახტაძეს გაეჩერებინა მანქანა, მან ისარგებლა აღნიშნული გარემოებებით და განაგრძო მოძრაობა, რითაც შეურაცხად ჯოჯუასთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ავტომობილს დროებით გამოყენების მიზნით ე. ი. მის მიერ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტით. როგორც ჩანს, სასამართლომ მანამდე ჩადენილ ქმედებებს არ მისცა სამართლებრივი შეფასება.

სასამართლომ განაჩენში ასევე აღნიშნა, რომ ბახტაძეს საბრალდებო დასკვნით ბრალი ედებოდა ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენაში, რაც სასამართლო გამოძიებით, ასევე წინასწარი

გამოძიებით არ დადასტურდა. მის მიერ ჩადენილია ავტომობილს მართლასწინააღმდეგო დაუფლება ჯგუფურად, დროებით გამოყენების მიზნით, რისთვისაც ბახტაძის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტზე. (ძველი რედაქცია).

იმის გამო, რომ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვის ფაქტზე ბახტაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ (დაახ. 5 თვით ადრე ამ განაჩენის გამოტანამდე), ხოლო შეურაცხად ჯოჯუას მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ. სასამართლომ ბახტაძე დამნაშავედ ცნო მარტო სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

როგორც ვანახეთ, სასამართლომ შეურაცხად პირთან დანაშაულის ჩამდენი დამნაშავედ ცნო დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაში, არადა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯგუფი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით არ არსებობდა.

გარდა ამისა, ჩვენთვის გაუგებარია თუ რატომ იქნა დამნაშავედ ცნობილი ბახტაძე 5 (ხუთი) თვის შუალედით სხვადასხვა განაჩენით ერთ დღეს ჩადენილი რამდენიმე დანაშაულისათვის. ჩვენ ასევე არ ვეხებით იმ საკითხს თუ რამდენად სწორად იქნა გადაკვალიფიცირებული დანაშაული, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენს მიზანს ამის გარკვევა არ წარმოადგენს.

ამდენად სასამართლომ სრულიად უსაფუძლოდ ცნო დამნაშავედ ბახტაძე დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაში. (ანალოგიური წესი ვრცელდება ყველა დანაშაულზე).

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თუ მკვლევლობა ჩადენილია ჯგუფის მიერ და დაკავებულია ერთი მონაწილე, ხოლო დანარჩენი დაუდგენელია, მაშინ არ შეიძლება ეს პირი ვცნოთ დამნაშავედ მკვლევლობის ჯგუფურად ჩადენაში. მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (თუ სხვა დამამძიმებელი გარემოება არ არსებობს), ხოლო დანარჩენ პირთა მიმართ უნდა გამოეყოს საქმე და გაგრძელდეს გამოძიება.

თუ პირს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით ან 109-ე მუხლის სხვა ნაწილით (გარდა 109-ე მუხლის II ნაწილის “ე” პუნქტისა) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა და

სასჯელის მოხდის პერიოდში ან მის შემდეგ დადგინდა სხვა მონაწილეთა ვინაობა, რითაც გამოიკვეთა, რომ მან ჯგუფთან ერთად ჩაიდინა დანაშაული, მაშინ უნდა მოხდეს განაჩენის გადასინჯვა განაჩენის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების მიზნით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე. ახლად აღმოჩენილ გარემოებად უნდა ჩაითვალოს სხვა თანამონაწილეთა დადგენა, რომელიც სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსხავრდებულის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მკვლელობის ჯგუფურად ჩადენას. ასეთ დროს მსჯავრდებულს უნდა დაუმძიმდეს სასჯელი.

თუ პირი მიცემულია პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის II ნაწილის "ე" პუნქტით, მაგრამ შემდგომ გამოვლინდა, რომ მას დანაშაული ჩადენილი ჰქონია შეურაცხად პირებთან ერთად. ამ შემთხვევაშიც უნდა გადაისინჯოს განაჩენი და უნდა მოხდეს მისი ქმედების გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლზე ან 109-ე მუხლის შესაბამის ნაწილზე (თუ რა თქმა უნდა არსებობს ამ მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობები) ხოლო თუ მას მოხდილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის II ნაწილის "ე" პუნქტით გათვალისწინებული სასჯელი, მაშინ ამ ნაწილში ის უნდა გამართლდეს და მის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა ვცნოთ უკანონოდ. ამდენად მას უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

ასეთი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით სასამართლოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ არ შეიძლება პირი ვცნოთ დამნაშავედ მკვლელობის ან თუნდაც სხვა ნებისმიერი დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაში, როცა სხვა თანამონაწილეები დაუდგენელია ან დადგენილია მათი ვინაობა, მაგრამ უცნობია მათი შერაცხვაუნარიანობა.

პრაქტიკაში გვექონდა შემთხვევა მკვლელობის საქმეზე, რომელზეც წინასწარი გამოძიება დაწყებული იყო მკვლელობის ჯგუფურად ჩადენის კვალიფიკაციით, მაგრამ შემდგომ ძიებით დადგინდა რომ ადგილი ჰქონდა თანამონაწილეობას, რის გამოც დანაშაული გადაკვალიფიცირდა სხვა მუხლზე. საილუსტრაციოდ მიმოვიხილა ავ აღნიშნულ საქმეს.

2005 წლის 23 თებერვალს მესტიის რაიონულ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის № საქმე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "ვ" და "ი" პუნქტებით და 237-ე მუხლის II ნაწილის "ბ" პუნქტით.

2005 წლის 6 ივლისს აღნიშნული საქმე ქვემდებარეობით შემდგომი გამოძიების ჩასატარებლად გადაგზავნილ იქნა შსს სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია შემდეგი:

2005 წლის 22 თებერვალს ზ. გ.სთან საცხოვრებელ სახლში – მესტიის რაიონის სოფელ ეცერში, დაბადების დღის მისალოცად, მივიდა მეზობლად მცხოვრები ლ. გ. სადაც მოცემული დღესასწაულის აღსანიშნავად გაშლილი იყო სუფრა. სუფრასთან ზ. და ლ. გ.-ებმა მიიღეს ალკოჰოლური სასმელი არაყი და დათვრნენ. ქეიფის დროს ტელევიზორის ყურებისას ზ. და ლ. გ.-ებმა საინფორმაციო გადაცემის საშუალებით შეიტყვეს ქ. თბილისში სამართლდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ლ. გ.-ის ნათესავის ე. ა.-ძის ლიკვიდაციის შესახებ. ამ დროს ლ. გ.-მა დაიყოლია ზ. გ. შური ეძიათ სამართლდამცავ ორგანოების მუშაკებზე და ამ მიზნით ჩაედინათ პოლიციის რომელიმე თანამშრომლის მკვლელობა. მათთვის ცნობილი იყო, რომ მეზობლად მცხოვრები ვ. კ.-ის საცხოვრებელ სახლში დროებით ცხოვრობდა მესტიის რაიონული განყოფილების ერთ-ერთი ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე ჯ. ც. ზ. და ლ.-მ ე. ა.-ძის სიკვდილისათვის შურისძიების მიზნით გადაწყვიტეს ჯ. ც.-ს განზრახ მკვლელობა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ზ. გ.-მ თავის საცხოვრებელ სახლში აიღო მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი და შენახული „მაკაროვი“-ს სისტემის პისტოლეტი, მისთვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნებით და ლ. გ.-თან ერთად გავიდა სახლიდან. ისინი მივიდნენ მეზობლად მცხოვრებ ბ. გ.-ს საცხოვრებელ სახლში, სადაც ასევე იმყოფებოდა ს. გ. ლ. გ.-მ ამ უკანასკნელებს გააცნო თავიანთი განზრახვა – ჯ. ც.-ს მკვლელობის ჩადენის შესახებ და შესთავაზა შურისძიების განხორციელებაში მონაწილეობა. აღნიშნულის შემდეგ ოთხივენი გავიდნენ ბ. გ.-ს სახლიდან და გაემართნენ ჯ. ც.-ს დროებითი საცხოვრებელი სახლის მიმართულებით. ამ უკანასკნელის საცხოვრებელ სახლში შევიდა „მაკაროვი“-ს სისტემის პისტოლეტით შეიარაღებული ზ. გ., ხოლო დანარჩენები გაჩერდნენ ქუჩაში. ზ. გ.-მა ე. ა.-ძის სიკვდილისათვის შურისძიების მიზნით და ჯ. ც.-ს სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, პისტოლეტიდან აწარმოა ორი გასროლა ჯ. ც.-ს მიმართულებით. გასროლილი ტყვიები ამ უკანასკნელს მოხვდა გულ-მკერდისა და თავის არეში, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ზ. გ.-მ მართლსაწინააღმდეგო მის-

აკუთრების მიზნით აიღო ჯ. ც.-ს ტაბელური „მაკაროვი“-ს სისტემის პისტოლეტი, მისთვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნებით და თავისი განზრახვის – ჯ. ც.-ს მკვლელობის სისრულეში მოყვანაში დარწმუნებული ზ. გ. გავიდა ეზოში და იქ მყოფ ლ. გ.-ს, ბ. გ.-სა და ს. გ.-ს უთხრა „სისხლი ავიღეთ“, რის შემდეგაც მათ დატოვეს იქაურობა და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

როგორც აღნიშნული საქმიდან ირკვევა ზ. გ.-ს ქმედება არ შეიცავს ჯ. ც.-ს განზრახ მკვლელობის ჯგუფურად ჩადენის ნიშნებს. რადგან ზ. გ.-მა უშუალოდ თვითონ თანაამსრულებლის გარეშე მოიყვანა სისრულეში ლ. გ.-სთან ერთად დაგეგმილი და ორგანიზებული ჯ. ც.-ს მკვლელობა.

საქმის მწარმოებელმა ორგანომ დადგენილებაში აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის I და II ნაწილების თანახმად დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ან წინასწარი შეთანხმებით ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. როგორც დისპოზიციიდან ჩანს, იმისათვის რომ პირთა ქმედება დაკვალიფიცირდეს დანაშაულის ჯგუფურად ჩადენად, აუცილებელია დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირები უშუალოდ ღებულობდნენ მონაწილეობას დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, მისი სისრულეში მოყვანის მიზნით.

ამდენად, ზ. გ.-ს ქმედება შეიცავს ლ. გ.-სთან ერთად დაგეგმილი განზრახ მკვლელობის ამსრულებლობას. აქედან გამომდინარე, ზ. გ.-ს ქმედება მკვლელობის ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ამდენად როგორც ვნახეთ კვალიფიკაცია გასწორდა. რაც შეეხება სხვა პირებს ისინი პასუხისგებაში მიცეს, როგორც მკვლელობის თანამონაწილეები.

თანამონაწილეობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციისას ყურადღება უნდა მიექცეს თითოეული თანამონაწილის ქცევის ხასიათს და ხარისხს, განზრახვის შინაარსს და მიმართულებას.

უნდა აღინიშნოს ის, რომ მკვლელობის ამსრულებელი არა მარტო ის პირია ვისმა მოქმედებამ უშუალოდ გამოიწვია მსხვერპლის სიკვდილი (მაგ. ვისაც ესროლა ტყვია) არამედ ისიც ვინც ამსრულებელთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მკვლელობის ჩადენაში ანუ ის ვინც ასრულებდა დანაშაულის ობიექტური მხარის გარკვეულ ნაწილს (მაგ. გაკოჭა ან

ხელფეხი გაუკავა მსხვერპლს და სხვა) ამასთან აუცილებელია ის, რომ ამ მონაწილის განზრახვა მოიცავდეს სასიკვდილო შედეგს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად მკვლელობის ისევე როგორც სხვა დანაშაულის ამსრულებლად ჩაითვლება ის, ვინც მკვლელობა ჩაიდინა სხვა იებაი პირის მეშვეობით, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით არაკის, შეურაცხადობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. აქ საუბარია პირის „ბრმა იარაღად გამოყენებაზე“.

უკეთ, რომ ვთქვათ, შუალობითი ამსრულებლის არსებობის შემთხვევაში დანაშაულის ფიზიკური შემსრულებელი ფაქტიურად არ სჩადის დანაშაულს, იგი მხოლოდ იარაღია სხვის ხელში, ვისი მოქმედებაც მიზეზობრივ ბრალეულ კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან და ამდენად, იგი წარმოადგენს კიდევაც დანაშაულის შუალობით ამსრულებელს.

როგორც ვხედავთ, უშუალო ამსრულებელი თუ მოქმედებს ბრალის გარეშე სხვა პირის წაქეზებით და ის ჩაიდენს დანაშაულს ამ შემთხვევაში წამქეზებელი გამოდის, როგორც დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი. მაგ. გ-ს შურისძიების გრძნობა ამოძრავებდა თავისი ყოფილი შეყვარებულის ხ-ს მიმართ, რომელმაც იგი სტუდენტობის პერიოდში მოატყუა, ის პირდებოდა ცოლად წაყვანას და მასთან დაამყარა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი. გ-მ თავის მეზობელი ზ. რომელიც იყო შეურაცხადი, ე.ი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი დაიყოლია ხ-ს მკვლელობაზე. ზ. თავს დაესხა ხ-ს და მოუსპო სიცოცხლე. ამ შემთხვევაში გ. დაისჯება როგორც დანაშაულის (მკვლელობის) შუალობითი ამსრულებელი ვინაიდან შეურაცხადი პირი გამოიყენა მკვლელობის ჩასადენად.

ობიექტური მხრივ, შუალობითი ამსრულებლობა უმრავლეს შემთხვევაში გამოიხატება ისეთი პირის წაქეზებაში, რომელიც შერაცხვისუუნაროა, მცირეწლოვანია, მოქმედებს იძულებით ან შეცდომით და სხვა.¹⁴

იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა ნაწილი უარყოფდა შუალობითი ამსრულებლის არსებობას. მაგ. უცხოელი კრიმინალისტი ვ. ზაუერი შუალობითი ამსრულებლობის წინა-

¹⁴ ო. გამყრელიძე- დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამონაწილეობა. თბ. 1974 წ. გვ.53

აღმდეგ გამოდიოდა. იგი წერდა შუალობითი ამსრულებლის ფიგურა ცხოვრებისათვის უცხო კონსტრუქციაა, იგი არაბუნებრივი ხელოვნური ცნებაა.¹⁵

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შუალობით ამსრულებლობას ის ავტორებიც არ უარყოფენ, რომლებიც თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას ეწინააღმდეგებიან. ამდენად შუალობითი ამსრულებლობა სავსებით ბუნებრივი და მისაღები ცნებაა, როგორც პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს “შუალობით ამსრულებლობას მაშინ აქვს ადგილი, როცა დამნაშავე სხვა ადამიანს იყენებს დანაშაულის ჩადენის იარაღად. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მეორე პირი მისთვის იარაღია დასახული მიზნის მიღწევის გზაზე და მეტი არაფერი. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ წამქეხებული თვითონ განიხილება ამსრულებლად, სახელდობრ შუალობით ამსრულებლად.”¹⁶

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მკვლევლობაში თანამონაწილეობა უნდა გაიმიჯნოს ისეთი დანაშაულისაგან, როგორიცაა, დანაშაულის დაფარვა (მუხლი 375) და დანაშაულის შეუტყობინებლობა. (მუხლი 376) ამასთან სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის შენიშვნის თანახმად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული.

ადამიანი, რომელიც წინასწარი შეთანხმების გარეშე, ე.ი. მკვლევლობის ჩადენის შემდეგ დაფარავს მკვლევლობის ფაქტს, მკვლელს ანდა მკვლევლობის ჩადენის იარაღებს, საშუალებებს, კვალს და სხვა მტკიცებულებებს მისი ქმედება უნდა ჩავთვალოთ არა როგორც მკვლევლობაში თანამონაწილეობად, არამედ როგორც მკვლევლობის დაფარვად.

გარდა ამისა, დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელოვანი პირობა და მისი თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალებაა დანაშაულის შეტყობინება, სწორედ ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა დანაშაულის შეუტყობინებლობა გაითვალისწინა დანაშაულად.

მკვლევლობის, ისევე როგორც სხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეტყობინება მოწმობს ადამიანის სამართლებრივი და კულტურული შეგნების მაღალ დონეზე და

¹⁵ W. Sauer. Allgemeine strafrechtslehre, Berlon. 1955. s. 202

¹⁶ ო. გამყრელიძე- დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამონაწილეობა. თბ. 1974 წ. გვ. 52-53

მას არავითარი კავშირი არა აქვს საზოგადოების ისეთ უარყოფით მოვლენასთან, როგორცაა დასმენა, ენატანიანობა და სხვა.

ამდენად პირი, რომელიც ფლობს მიმემ და განსაკუთრებით მიმემ დანაშაულის მზადების ინფორმაციას ვალდებულია შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოებს ან იმ სტრუქტურებს, რომელთაც ვალდებულია მიიღონ ზომები დანაშაულის აღსაკვეთად.

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, მკვლელობის ჩადენა შესაძლებელია თანამონაწილეობით და მისი განხილვა აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, მაგრამ თანამონაწილეობით ჩადენილი მკვლელობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ვთვლით აღნიშნული საკითხი თითოეული მუხლის შესაბამისი პუნქტების მიხედვით განგვეხილა ამიტომ თანამონაწილეობით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციაზე უფრო ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

§6. ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია

როგორც ვნახეთ, განსახილველი მუხლის ნაწილის პუნქტი ითვალისწინებს ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას. აღნიშნული დანაშაული მატერიალური შემადგენლობისაა და გულისხმობს მინიმუმ ორი პირის განზრახ მკვლელობას. ე. ი. ქმედების ამ მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია ორი ან უფრო მეტი ადამიანის ერთიანი განზრახვითა და ერთდროულად, დროის მცირე მონაკვეთით მკვლელობა.

შესაძლებელია პრაქტიკაში მოხდეს ისეთი შემთხვევა, როცა პირი კლავს ერთ ადამიანს, მაგრამ იქვე კლავს მეორეს, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე და გახდა მკვლელობის თვითმხილველი. ასეთი მკვლელობა მიუხედავად იმისა, რომ დროის მცირე მონაკვეთის დაშორებით მოხდა არ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლის პუნქტით. ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ერთი ადამიანის განზრახ მკვლელობა და მეორე ადამიანის განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით. (სსკ-ს 108-ე მუხლი და 109-ე მუხლის I ნაწილის “დ” პუნქტი)

თუ პირის განზრახვა მოიცავდა რამდენიმე პირის მკვლელობას, მაგრამ მხოლოდ ერთის მკვლელობა მოხერხდა, ხოლო დანარჩენი გადარჩა მაშინ ქმედება არ დაკვალიფიცირდება, როგორც ორი ან მეტი ადამიანის მკვლელობა. ამ შემთხვევაში

ქმედების კვალიფიკაცია იქნება ერთი ადამიანის განზრახ მკვლელობა და ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობა.¹⁷

სუბიექტური მხარე შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი განზრახვა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ორი ან მეტი პირის მკვლელობაში.

ობიექტი დანაშაულისა არის ერთდროულად ორი ან მეტი პირის სიცოცხლე.

ამ საკითხზე სწორად მსჯელობს პროფ. ალ. კვაშილავა: “ამ და სხვა ყველა შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება განზრახვი დანაშაულის ჩადენას, აუცილებელია დადგინდეს, თუ რომელ განზრახვას ჰქონდა ადგილი - პირდაპირს თუ არაპირდაპირს. ეს სადაო არ არის, მაგრამ შეიძლება საწინააღმდეგო აზრები წარმოიშვას მაშინ, როდესაც პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედების შედეგად ერთი გარდაიცვალა, ხოლო ერთი ან რამდენიმე სიკვდილს გადაურჩა, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩამდენის განზრახვა ყველას მიმართ ერთნაირი იყო. მაგ., მკვლელობის მიზნით ავტომატიდან გასროლილი ტყვიის მოხვედრის შედეგად ერთი მოკვდა, ხუთი მძიმედ დაზიანდა, ორმა მიიღო ნაკლებად მძიმე დაზიანება, ხოლო შვიდი მსუბუქად დაზიანდა. ასეთი პრაქტიკაში შეიძლება იშვიათობას წარმოადგენდეს, მაგრამ მკვლელს რომ დაუდგინდეს მოკლულისა და ყველა დაზიანებულთა მკვლელობის მიზანი, იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში არ უნდა მიეცეს სსკ-ის 109-ე მუხლის III ნაწილის “ა” პუნქტით ორი ან მეტი პირის მკვლელობისათვის და პასუხი უნდა აგოს, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ერთი მკვლელობისა და დანარჩენების მკვლელობის მცდელობისათვის.”¹⁸

იმისათვის, რომ უფრო ადვილი გახდეს ქმედების ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირება მოვიყვანო ერთ მაგალითს, სამეზობლო დავის ნიადაგზე, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა, იაშვილმა, ერთ-

¹⁷ ვ.მაყაშვილი, მ.მაჭავარიანი, თ.წერეთელი, თ.შავგულიძე - დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიეროპრაქტიკული კომენტარი) თბილისი 1980. გვ.28-29. ზ. წულაია - სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ტომი პირველი. თბ. 2000 წ. გვ. 49-51

¹⁸ ალ. კვაშილავა - დანაშაულის კვალიფიკაციის თეორიული პრობლემები და სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2002 წ. გვ. 39.

ერთი ჩხუბის დროს სანადირო თოფიდან ცოლ-ქმარ გვეტაძეებს ესროლა ერთმანეთის მიყოლებით, რის შედეგადაც გარდაიცვალა ქმარი, ხოლო ცოლი დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადარჩა. ამ შემთხვევაში იაშვილის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა. აღნიშნულ კვალიფიკაციას საფუძვლად უდევს ის, რომ დამნაშავე სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის III ნაწილის “ა” პუნქტის დისპოზიციის მაკვალიფიცირებელი ნიშანი სრულად ვერ განახორციელა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქმედება ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობად არ დაკვალიფიცირდება თუ ორივე ან ერთ-ერთი ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ან უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის მხრიდან ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორი ან მეტი პირის მკვლელობა ხასიათდება ერთიანი განზრახვით და მისი ჩადენა ხდება ერთდროულად.

§7. განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის განსახილველი პუნქტი გულისხმობს ისეთ განზრახ მკვლელობას, რომლის ჩადენისას მკვლელმა გამოიჩინა განსაკუთრებული სისასტიკე. იმისათვის, რომ მკვლელობა დაკვალიფიცირდეს აღნიშნული პუნქტით დადგენილ უნდა იქნეს ის გარემოება თუ რაში გამოიხატა მკვლელობისას განსაკუთრებული სისასტიკე, ამასთან გასარკვევია ისიც მოიცავდა თუ არა მკვლელის განზრახვა ასეთი სისასტიკით მკვლელობის ჩადენას. თუ კი მკვლელი არ აცნობიერებს იმას, რომ ავლენს განსაკუთრებულ სისასტიკეს, მაშინ ჩადენილი მკვლელობა არ დაკვალიფიცირდება 109-ე მუხლის III ნაწილის “ბ” პუნქტით.

მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად ჩაითვლება მაშინ, როცა მკვლელი მსხვერპლს სიკვდილის დადგომამდე აყენებს ძლიერ ფიზიკურ ტანჯვას, რაც გამოიხატება დაზარალებულის წამებაში, ცემაში, დანით ან სხვა საშუალებით დაზიანების მიყენებაში. განსაკუთრებულ სისასტიკეს ადგილი აქვს მაშინაც, როცა მკვლელობის პროცესში დაზარალებულის მიმართ გამოიყენეს ხანგრძლივი და ძლიერმოქ-

მედი მომწამვლელი ნივთიერება ან ის ცოცხლად დაწვეს ან დამარხეს. განსაკუთრებული სისასტიკე ობიექტური მხრივ ასევე გამოიხარება სხეულის სხვადასხვა ნაწილების მოკვეთაში, პირისათვის საჭმლის მიუცემლობაში და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კვალიფიკაციისათვის აუცილებელია იმის გარკვევა, შეგნებული ჰქონდა თუ არა მკვლელს, რომ მისი ქმედება მსხვერპლს აყენებდა განსაკუთრებულ ფიზიკურ ტანჯვას ან იყენებდა წამების ისეთ მეთოდებს, რომლის შედეგადაც სიკვდილი უცბად არ დადგებოდა. ამ საკითხზე პროფ. მ. ლეკვეიშვილი აღნიშნავს, რომ “განსაკუთრებული სისასტიკის ცნების დასადგენად მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ მხარეს, რომელიც ახასიათებს დამნაშავეს დამოკიდებულებას არა მარტო შედეგისადმი, არამედ განსაკუთრებული სისასტიკისადმი, როგორც ისე გარემოებისადმი, რომელიც ამძიმებს განზრახ მკვლელობას. მკვლელობის გამოცხადება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად ამ გარემოებისადმი დამნაშავეს სუბიექტური დამოკიდებულების გაგების გარეშე ობიექტურ შერაცხვამდე მიგვიყვანს.”¹⁹

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განსაკუთრებულ სისასტიკეს, როგორც მკვლელობის ხერხს ადგილი უნდა ჰქონდეს სიკვდილის დადგომამდე. სიკვდილის დადგომის შემდეგ გვამის მიმართ გამოყენებული სისასტიკე არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა, რადგან სიკვდილი უკვე დამდგარი იყო. ჩვენი აზრით, არასწორია პროფ. თ. წერეთლის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი წერს “მკვლელობად განსაკუთრებული სისასტიკით ითვლება აგრეთვე გვამის შებილწვა, რითაც, რა თქმა უნდა, მკვლელი წრეგადასულ სისასტიკეს ავლენს (ასეთი მოქმედებაა, მაგალითად, გვამის დაჩეხვა მისთვის თვალების ამოთხრა და სხვ. მისთ.). . .”²⁰ ასეთი მოსაზრება, როგორც აღვნიშნეთ არასწორია, რადგან მკვლელობა გულისხმობს ადამიანისათვის სიცოცხლის განზრახ მოსპობას, ამიტომ უკვე გარდაცვლილი ადამიანის (გვამის) ხელმეორედ მკვლელობა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ საკითხს სწორად წყვეტს ბ. ფურცხვანიძე, იგი აღნიშნავს, რომ “განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა გვექნება მაშინ, როდესაც დაზარალებულს სიკვდილის წინ დამნაშავე მიაყ-

¹⁹ მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), ლექციები.თბ. 1996 წ. გვ.50-51

²⁰ ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბ. 1980 წ. გვ. 31

ენებს დიდ ტანჯვას და წამებას. მართალია, ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა, მკვლელობა ყოველთვის აყენებს მას გარკვეულ ტანჯვას, მაგრამ კანონს მხედველობაში აქვს მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც იწვევს სიკვდილის წინ დაზარალებულის ზედმეტ ტანჯვას. უხანგრძლივებს მას ტკივილებსა და მწუხსარებას.²¹

იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ “თუ გვამის მოსპობა ან დაჩეხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით მოხდა, ეს არ ჩაითვლება განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობად”²² როგორც ვხედავთ ავტორები ყურადღებას ამახვილებენ გვამის დაჩეხვის მიზანზე და სწორედ ამის გამო მიაჩნიათ მათ, რომ ქმედება არ შეიცავს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის შემადგენლობას, არადა ამ შემთხვევაში ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, საუბარია გვამზე (უფარგის ობიექტი) და არა ცოცხალ ადამიანზე. ამ შემთხვევაში მიზანი განსაკუთრებული სისასტიკით ტანჯვის მიყენებაც რომ ყოფილიყო, ქმედება მაინც არ დაკვალიფიცირდებოდა განსახილველი მუხლის პუნქტით.

განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს შემთხვევა, როცა მკვლელობა ხდება მსხვერპლის ახლობლების თანდასწრებით, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებლად დადგენილ უნდა იქნეს ჰქონდათ თუ არა მსხვერპლის ახლობლებს გაცნობიერებული მკვლელის ქმედება. (მაგალითად, ახლობლები განიცდიდნენ განსაკუთრებულ ტანჯვას, ხოლო მკვლეელი მიზნად ისახავდა მათთვის ასეთი ტანჯვის მიყენებას ან ურიგდებოდა მას).

პროფ. მ. ლეკვეიშვილი აღნიშნავს, რომ “განსაკუთრებული ტანჯვის მიყენების ქვეშ უნდა გავიგოთ დაზარალებულის არა მარტო ფიზიკური, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში ფსიქიკური, ზნეობრივი ტანჯვაც. მაგალითად, თუ მის წინ კლავენ ბავშვებს, ცოცხლად წვავენ ცოლს ან დაზარალებულს კლავენ ბავშვების თანდასწრებით და სხვ.”²³

²¹ ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა კანონმდებლობა მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. თბ. 1964 წ. გვ. 14.

²² ე. მაყაშვილი, მ. მაჭაყარიანი, თ. წერეთელი, თ. შავეულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბ. 1980 წ. გვ. 31

²³ მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), ლექციები. თბ. 1996 წ. გვ. 51

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციის საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა თავის დადგენილებაში “განზრახ მკვლელობის საქმეებზე” აღნიშნა, რომ “არ შეიძლება განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობად მიჩნეულ იქნას მკვლელობა, ჩადენილი მცირეწლოვანი ბავშვის თანდასწრებით, რომელსაც ასაკის გამო, არ შესწევს უნარი მომხდარის აღქმისა.”²⁴ მაგრამ თუ ბავშვი არასრულწლოვანია და ასაკის გამო შესწევს უნარი აღიქვას მომხდარი, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობად. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს საქმიდან, რომელიც განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ. საქმის ვითარება იყო შემდეგი:

არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა თ-მ თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოს ჭიშკრის მახლობლად, ურთიერთშეურაცხყოფისა და ჩხუბის გამო, შურისძიების მოტივით, დამამძიმებელ გარემოებაში, დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილების – გ. და ტ. ო-შვილების, ასევე დისშვილის ლ. გ-შელის თვალწინ, განსაკუთრებული სისასტიკით, სახლიდან გამოტანილი ორლულიანი სანადირო თოფიდან 10-12 მეტრის მანძილიდან კისრის არეში დამიზნებული გასროლით განზრახ მოკლა მ. ო-შვილი, რითაც განსაკუთრებული ტანჯვა და წამება მიაყენა მკვლელობის ფაქტის უშუალო მნახველ, ზემოაღნიშნულ არასრულწლოვან ბავშვებს. ამ კვალიფიკაციას არ დაეთანხმა მსჯავრდებულის ადვოკატი და გაასაჩივრა საკასაციო წესით. საჩივარში ადვოკატმა აღნიშნა, რომ “საქმის მასალებით უტყუარად დადგენილი არ არის, მ. ო-შვილის არასრულწლოვანი შვილები იმყოფებოდნენ თუ არა მამის მკვლელობის ადგილზე. ესეც რომ დადგენილი იყოს, მკვლელობის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, მკვლელი პირდაპირ ასეთი განზრახვით მოქმედებდეს, რაც განაჩენით არ დასტურდება.”

პალატა არ დაეთანხმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და განჩინებაში აღნიშნა, რომ “საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უდავოდ დადგენილია, რომ ურთიერთშეურაცხყოფის გამო განაწყენებულმა თ. მ-შვილმა მოკვლის განზრახვით, სანადირო თოფიდან დამიზნებით ესროლა მ. ო-შვილს.

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 6 ივლისის № 5 დადგენილება “განზრახ მკვლელობის საქმეებზე”

მიღებული დაზიანებების შედეგად მ. ო-შვილი უმაღლეს გარდაიცვალა.

უტყუარად დადგენილია ისიც, რომ თ. მ-შვილისათვის ცნობილი იყო, რომ მ. ო-შვილს თან ახლდნენ არასრულწლოვანი შვილები (8 და 11 წლის), რომლებსაც იქვე ხედავდა მათი მამისათვის თოფის სროლის დროს. დაჭრილ და მიწაზე წაქცეულ მამასთან პირველმა 8 წლის ტ-მ მიიღბინა; ხელში დაიჭირა მისი გასისხლიანებული თავი და ცდილობდა დახმარება გაეწია, მაგრამ მ. ო-შვილი მისსავე ხელებში გარდაიცვალა. თვალწინ მამის მკვლელობა იმდენად მძიმე განცდა იყო შვილისათვის, რომ არასრულწლოვან ბავშვებს სიტუაციური ნევროზი განუვითარდა და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა.

ამრიგად, დიდ პაღატას მიაჩნია, რომ თ. მ-შვილის მიერ მ. ო-შვილის განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, მთლიანად დადასტურებულია. შესაბამისად, წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლო კოლეგიამ სწორად განსაზღვრეს დანაშაულის იურიდიული კვალიფიკაცია.²⁵

უნდა აღინიშნოს ის, რომ განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს, მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

პრაქტიკაში შეიძლება მოხდეს ისეთი შემთხვევა, როცა განსაკუთრებული სისასტიკის ნიშნების შემცველი აღმოჩნდეს უეცარი, ძლიერი სულიერი აღფლავების ან აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა. მიუხედავად ამისა ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს განსახილველი მუხლის პუნქტით. ამ საკითხზე სწორად მსჯელობს პროფ. ზ. წულაია. იგი აღნიშნავს “როდესაც სუბიექტი აფექტის მდგომარეობაშია ან როცა ცდილობს აიცდინოს სხვისი მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა, მას შემცირებული აქვს საკუთარი მოქმედების კონტროლისა და თავშეკავების უნარი, ასევე გარემოებათა სწორად შეფასების უნარი. აქედან გამომდინარე უპრიანი იქნება თუ ვიტყვი, რომ განზრახი მკვლელობა ჩადენილი აფექტისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების მდგომარეობაში თუნდაც, რომ შეიცავდეს განზრახი მკვლელობის განსაკუთრებული სისასტიკის ნიშნებს უნდა დაკვალიფიცირდეს არა 109-ე მუხლის “ე” პუნქტით (ახალი რედაქციით 109-ე მუხლის III

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. თბ.2002 წ. 341-344.

ნაწილის “ბ” პუნქტით.–რ.კ.), არამედ სსკ-ის 111-ე (მკვლევლობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) ან 113-ე (მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) მუხლით.”²⁶

§8. ანგარებით ან შეკვეთით ჩადენილი განზრახ მკვლევლობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის III ნაწილის „გ“ პუნქტი განსაზღვრავს განზრახ მკვლევლობის ისეთ სახეს, რომელიც ჩადენილია ანგარებით (პირადი გამორჩენის მიზნით) ან შეკვეთით.

იმისათვის, რომ მკვლევლობა დაკვალიფიცირდეს განსახილველი მუხლის პუნქტით პირი (მკვლელი) უნდა ისახავდეს მატერიალური გამორჩენის (მაგ: ფულის, ქონების, ქონებრივი უფლების) ან სხვა მატერიალური სიკეთის მიღების მიზანს.

უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ამ სახის მკვლევლობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს მატერიალური სიკეთის მიღების საფუძვლის კანონიერებას. მაგ. პირს ანდერძით ეკუთვნის სახლი, მაგრამ ის ამ სახლის მიღების დროის დაჩქარების მიზნით კლავს მამკვიდრებელს.

ანგარებით მკვლევლობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, იმას, ნივთი, რომლის დაუფლებასაც ცდილობს დამნაშავე კანონიერი გზით ჰქონდეს მოპოვებული დაზარალებულს (მსხვერპლს). ეს გარემოება ვერ მოახდენს გავლენას სუბიექტის მოქმედების მოტივის დადგენაზე. (მაგ. მოპარული ნივთის დაუფლების მიზნით ჩადენილი მკვლევლობა – ანგარებითია).

ანგარებით მკვლევლობად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პირის მიზანი არის აიცილოს ან თავი აარიდოს მატერიალურ ხარჯს ან გათავისუფლდეს ქონებრივი ვალდებულებისაგან. (მაგ. ვალის ან ალიმენტის გადახდისაგან). აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ანგარებით მკვლევლობად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როცა მართალია მოტივი ქონებრივი ხასიათისა იყო, მაგრამ მკვლევლობა არ წარმოადგენდა მატერიალური გამორჩენის მიღების საშუ-

²⁶ ზ. წულაია, სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. თბ. 2000 წ. ტ.I. გვ.60.

აღებას და არც დამნაშავეს ჰქონდა ასეთი მიზანი. მაგ. ბახტაძემ მოკლა იმნაძე, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა უარი უთხრა მისთვის რამდენიმე თვის წინ მიცემული თანხის (ვალის) დაბრუნებაზე. ასევე ანგარებით მკვლელობად არ დაკვალიფიცირდება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირმა მოკლა ქურდი, რომელსაც მისი სახლიდან გაჰქონდა მატერიალური ფასეულობა. მართალია მკვლელობა ამ დროს წარმოადგენდა ქონების არასამართლებრივი ხელყოფისაგან დაცვის საშუალებას, მაგრამ პირი მიზნად არ ისახავდა მატერიალურ გამორჩენას, რაც თავისთავად სხვა შინაარსის მატარებელია, ვიდრე ნივთის დაცვის.

ანგარებით მკვლელობის შემადგენლობას არ მოიცავს ისეთი მკვლელობა, რომლის შემდეგაც დამნაშავე ეუფლება მის ქონებას, თუ მკვლელს მკვლელობამდე ან მკვლელობის პროცესში არ ჰქონდა მსხვერპლის ქონების დაუფლების მიზანი. ამიტომ ასეთი შემთხვევები უნდა კვალიფიცირდებოდეს, როგორც მკვლელობა და დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ. ამ მხრივ საინტერესოა ა.ა.პიონტოვსკის მოსაზრება იგი წერს: „ანგარებით მკვლელობად არ შეიძლება ჩაითვალოს ის შემთხვევები, როცა მკვლელობა ჩადენილ იქნა არა ანგარების მოტივით, მაგრამ როცა მკვლელობის ჩადენის შემდეგ მკვლელმა გადაწყვიტა ესარგებლა მოკლულის ამა თუ იმ ქონებით და გაიტაცა იგი. ასეთი შემთხვევები უნდა იქნას განხილული, როგორც მკვლელობისა და ქურდობის რეალური ერთობლიობა“.²⁷

ასეთი მოსაზრება სავსებით მისაღებია, რადგან ანგარებითი მკვლელობა ნიშნავს იმას, რომ პირს ქონების დაუფლების მიზანი მკვლელობამდე აღმოუცენდა და სწორედ მკვლელობა ხდება მიზნის მიღწევის საშუალება. ქმედების ანგარებით მკვლელობად დაკვალიფიცირებისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირმა მიაღწია თუ არა მიზანს (ნივთის დაუფლება), რისთვისაც ჩაიდინა დანაშაული (მკვლელობა). მთავარია დადგინდეს, რომ მკვლელობა ჩადენილია რაიმე მატერიალური გამორჩენის მიზნით.

იურიდიულ ლიტერატურაში დავაა იმის შესახებ, რომ ყაჩაღობის დროს ჩადენილი მკვლელობა, მოიცავს თუ არა ანგარებით მკვლელობის ნიშნებს ან პირიქით.

²⁷ ა.ა. პიონტოვსკი - დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბილისი. 1940. გვ.28

უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ თავდასხმას (ყაჩაღურ თავდასხმაში ჩვენ ვგულისხმობთ უეცრად, მოულოდნელად უშუალოდ წაყენებულ მოთხოვნას ქონების (ნივთის) დაუყონებლივ გადაცემის შესახებ) წინ უსწრებდა მკვლელობა, ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში ყაჩაღობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ხოლო თუ მკვლელობას წინ უსწრებდა ყაჩაღური თავდასხმა მაშინ საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს საქმის კონკრეტული გარემოებების შესწავლის შედეგად.

მხედველობაში უნდა იქნეს ზღვებული ის გარემოება, რომ ანგარებით მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს, როგორც დიად ისე ფარულად (მაგ. ტყვიის სროლა სამალავიდან, მოწამვლა და სხვა), ხოლო ყაჩაღობა ყოველთვის აშკარად განხორციელებულ თავდასხმაში გამოიხატება. ამ უკანასკნელ მოსაზრებაზე განსხვავებული პოზიცია უკავია ქართველ მეცნიერს ბ.ფურცხვანიძეს იგი წერს, რომ „თავდასხმა ყაჩაღობის დროსაც არ გამოირიცხავს ფარულ სახეს (მაგ. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი კაცის მოკვლა მისი ქონების უმალვე დაუფლების მიზნით) ამიტომ საჭირო ხდება ამ ორი დანაშაულის განსასხვავებლად სხვა ნიშნების პოვნა“.²⁸

ამასთან, ბ.ფურცხვანიძეს მართებულად მიაჩნია მ.ბ.გუგუნიას მოსაზრება, რომ „... მცირე გამონაკლისის გარდა, ყაჩაღობა შეიძლება ჩადენილ იქნეს ყველა იმ საშუალებით, რომლითაც ჩაიდინება ანგარებითი მკვლელობა და მაშასადამე, ამ შემადგენლობათა განსხვავება მათი ჩადენის საშუალების მიხედვით უსაფუძვლოა“.²⁹

როგორც ვხედავთ ბ.ფურცხვანიძეს ყაჩაღობის დროს თავდასხმის ფარულად განხორციელება დასაშვებად მიაჩნია, რაც ჩვენი აზრით, არ არის სწორი. ყაჩაღობის ჩადენის დროს თავდასხმის ფარულად განხორციელების შეუძლებლობა ჩვენს მიერ საკმაოდ დასაბუთებულია და ამ საკითხზე აქ არ შეეჩერებით, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მთვრალ მდგომარეობაში მყოფი პირის, (რომელსაც არა აქვს უნარი აღიქვას მასზე განხორციელებული თავდასხმის შინაარსი) მკვლელობა მისი ქონების უმალვე დაუფლების მიზნით მოიცავს არა ყაჩაღობის, არამედ ანგარებითი მკვლელობის ნიშნებს. ჩვენს მიერ გაკე-

²⁸ ბ.ფურცხვანიძე. დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. თბილისი 1960. გვ.27

²⁹ М.Б.Гугучиа. Ответственность за разбой по советскому уголовному законодательству. Сухуми. 1958. стр.110

თებული ამ დასკვნის დასადასტურებლად მოვიყვან ზ.ფურცხვანიძის მეორე მოსაზრებას, რომელიც უფრო სწორად მიგვაჩნია. იგი წერს: „არც ის არის გამორიცხული, რომ ანგარებით მკვლელობის შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდეს მატერიალურ ფასეულობათა უშუალოდ (ერთდროულად) გატაცებას.“ და მას მოჰყავს ასეთი სახის მაგალითი: იცოდა რა, რომ მოქ. ბ.-ს ბინაში ჰქონდა მრავალი ფასეულობა. მისი გატაცების მიზნით ა. ესტუმრა მას და როდესაც უკანასკნელი ეახშმის დროს მეორე ოთახში გავიდა ა.-მ იხელთა დრო და ბ.-ს ღვინის ჭიქაში დარიშხანი ჩაუყარა. ბ.-მ დალია მოწამლული ღვინო და იქვე გარდაიცვალა, ხოლო ა.-მ დაზარალებულის ნივთები გაიტაცა.³⁰ სასამართლომ ა.-ს ქმედება შეაფასა როგორც ანგარებითი მკვლელობა და ამ კვალიფიკაციას ეთანხმება ბ.ფურცხვანიძეც.

როგორც ვნახეთ ბ.ფურცხვანიძეს პირველ შემთხვევაში ჩადენილი ქმედება (არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირის ფარულად მოკვლა მისი ქონების უმაღვე დაუფლების მიზნით) მაინცა ყაჩაღობად, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე ქმედებას ანგარებითი მკვლელობის კვალიფიკაციას აძლევს.

ახლა ისმის კითხვა: რამ აიძულა ფურცხვანიძე მისულიყო ასეთ არალოგიკურ დასკვნამდე? ჩვენი აზრით, ამ ორი მაგალითის ერთმანეთისაგან განსხვავება არასწორია და ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ანგარებით მკვლელობას, ჯერ ერთი პირველ შემთხვევაში ჩადენილი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდებოდა ყაჩაღობის დროს ჩადენილ მკვლელობად, რადგან როგორც ბ.ფურცხვანიძე ამბობს ის მოხდა ფარულად. ყაჩაღობის დროს კი თავდასხმის ღიად არსებობაა აუცილებელი, გარდა ამისა, მკვლელობის დროს ჩადენილი თავდასხმა სულ სხვა შინაარსს მოიცავს, ვიდრე ყაჩაღობისას ჩადენილი. მკვლელობის დროს თავდასხმა შეიძლება გამოიხატოს, როგორც ფარულ, ისე აშკარა ფორმაში და ის შეიძლება განხორციელდეს ტყვიის სროლით, ქვის ჩარტყმით და სხვა საშუალებით, დაზარალებულისათვის ყოველგვარი ახსნა-განმარტების მიცემის გარეშე. ყაჩაღობის დროს კი თავდასხმა გულისხმობს არა მარტო ძალადობას, არამედ დაზარალებულისათვის უეცრად მოთხოვნის წაყენებას, მისი მოძრავი ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ. ეს ყაჩაღობის ძირითადი არსია.

³⁰ ბ.ფურცხვანიძე. დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. თბილისი 1960. გვ.27-28

პრაქტიკაში დღესაც ხშირია შემთხვევები ქმედების არასწორად დაკვალიფიცირებისა. ვთქვათ დამნაშავეს აქვს განზრახვა ყაჩაღური თავდასხმით გაიტაცოს სხვისი ქონება, მაგრამ იგი ამას სჩადის არა უშუალოდ თავდასხმის გზით, არამედ სხვა ხერხებით. მაგ. პირი სახლში ეწვევა სტუმრად თავის ნაცნობს, დაათრობს მას და კლავს ნივთის დაუფლების მიზნით. ასეთი ქმედებები პრაქტიკაში კვალიფიცირდება, როგორც ყაჩაღობა. მართალია ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებას ნივთის დაუფლების მიზნით, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ სახის ქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს ყაჩაღობად, ვინაიდან ჩვენი აზრით, ძალადობა და ზიანის მიყენება თავდასხმის ფორმით არ ხდება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვან საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 18 მაისის განაჩენს, რომლითაც ზ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის “ა” და “გ” პუნქტებით, და 104-ე მუხლის I და VII პუნქტებით (1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის -ი).

ზ. განაჩენით მსჯავრდებულ იქნა შემდეგისათვის:

ზ. შეხვდა თავის მეგობარ გ-ს და უთხრა, რომ სოფელში მცხოვრებ ღ-ს ჰქონდა ფული და ძვირფასეულობა, თან გაანდო თავისი განზრახვა ყაჩაღური თავდასხმის გზით გაეტაცებინათ მისი ქონება. გ. დათანხმდა. მოილაპარაკეს სტუმრად სწევოდნენ ღ-ს დაეთროთ იგი, შემდეგ დასხმოდნენ თავს და დაუფლებოდნენ მის ქონებას. მათ შეიძინეს ორი ბოთლი შამპანური და ესტუმრნენ ღ-ს ამ უკანასკნელმა სუფრა გაუშალა მათ, ვინაიდან კარგად იცნობდა ზ-ს. სუფრაზე მათ დალიეს ღვინო და შამპანური, ქეიფის დროს მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა გ-მ ზ-ს მითითებით ღ-ს თავში, გონების დაკარგვის მიზნით, ჩაარტყა შამპანურის გაუხსნელი ბოთლი, ღ-ს გრძნობა არ დაუკარგავს და ზ-ს დაუწყო სიტყვიერი ჩხუბი, თუ რატომ მოიყვანა მასთან გ. აღნიშნულის შემდეგ ქონების დაუფლების გაადვილების და დანაშაულის დაფარვის მიზნით, ზ-მ და გ-მ გადაწყვიტეს მოეკლათ ღ. ზ-მ ხელები ყელში წაუჭირა, წააქცია იატაკზე, მაგიდიდან აიღო სამზარეულოს დანა და რამდენჯერმე დაარტყა კისერში. ჩხუბსა და ყვირილზე გვერდით ოთახიდან გამოვიდა ღ-ს ღრმად მოხუცებული ბებიის ქ-ს მომვლელი ქალი თ., რომელმაც შეიხედა ღ-ს ოთახში, სადაც დაინახა ზ. და გ. ზ-მ მუშტი დაარტყა მარცხენა თვალში და

მუქარით უთხრა იქიდან წასულიყო შეშინებული თ. შვევიდა ქ-ს ოთახში, რის შემდეგაც ზ-მ და გ-მ მათ კარები თოკით ჩაუკეტეს. ღ-ს განზრახ მკვლელობის შემდეგ ზ-მ და გ-მ მისი სახლიდან გაიტაცეს სხვადასხვა ნივთები, სულ 75 ლარის ქონება.

როგორც ვხედავთ, საქმე გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულით, ამიტომ მისი სწორად დაკვალიფიცირება აუცილებელია. მართალია სასამართლომ ქმედებას მისცა შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც ჩვენი აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად ყაჩაღობისათვის მსჯავრდების ნაწილში.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ყაჩაღობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი გახლავთ თავდასხმა, რომელიც სხვა შემადგენელ ელემენტებთან ერთად ხასიათდება ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ მოულოდნელად წაყენებული მოთხოვნით. ამასთან დასაბუთებულად მიგვაჩნია, რომ ძალადობა გამოყენებული ნაცნობი ადამიანისაგან, რომელშიც დაზარალებულს არა აქვს საფუძველი ნახოს დამნაშავე და ეშინოდეს მისი მოქმედების, ძალადობა თავდასხმის გზით არ ხდება.

საქმეზე დადგენილია, რომ ზ-ს მართალია ჰქონდა ნივთის თავდასხმის გზით დაუფლების განზრახვა, მაგრამ მას დაზარალებულისათვის არ წაუყენებია ნივთის გადაცემის მოთხოვნა, რომელიც აღქმული იქნებოდა დაზარალებულის მიერ, როგორც ყაჩაღური თავდასხმა. აღნიშნულს ადასტურებს თ-ს მიერ მიცემული ჩვენებაც, სადაც იგი აღნიშნავს, რომ შემთხვევის დამეს ღ-ს ოთახიდან შემოესმა მისი ყვირილი, რომელიც მრავლობით რიცხვში ამბობდა “რისთვის მკლავთო, რა დაგიშავეთო”³¹

როგორც ჩანს, საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ღ-ს თავდასხმა არ აღუქვამს, როგორც ნივთის დაუფლების მიზნით განხორციელებული. ამდენად, მკვლელობა ჩადენილ იქნა ქონების დაუფლების და მისი გაადვილების მიზნით, რაც მკვლელობის ჩადენის შემდეგ იქნა შესრულებული. უნდა ითქვას ისიც, რომ ქონების დაუფლების გაადვილების მიზანი მოიცავს, მის დაუფლების მიზანსაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა ყაჩაღობად, არამედ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად, კერძოდ, ან-

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სს საქმეებზე. თბილისი 2001. N12. გვ.918-923

გარებით მკვლევლობად, ასევე შეიძლება მათი ქმედება დამატებით დაკვალიფიცირდეს ქურდობად, რადგან მკვლევლობის შემდეგ იქნა ნივთები გატაცებული.

ასეთი კვალიფიკაცია გამოძინარეობს იქიდან, რომ საქმის მასალები არ იძლევა ქმედების ყაჩაღობად ჩათვლის საფუძველს, რადგან ყაჩაღობის თითქმის ყველა ნიშნის არსებობის მიუხედავად მასში არ არის თავდასხმის ნიშნები, რაც აუცილებელია ქმედების ყაჩაღობად შეფასებისათვის. გარდა ამისა, ბოთლის ან სხვა საგნის თავში ჩარტყმა არ შეიძლება ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩაითვალოს თავდასხმად, რომელიც ყაჩაღობისათვის არის დამახასიათებელი. ეს ქმედება შეიცავს უფრო ძალადობის გამოყენების ნიშნებს, ვიდრე ყაჩაღური თავდასხმის.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ყაჩაღური თავდასხმა განსხვავდება სხვა დანაშაულის შემადგენლობაში არსებული თავდასხმისაგან. მაგ. მკვლევლობის დროს თავდასხმად შეიძლება ჩაეთვალოს უკნიდან დანით მიპარვა, სამალავიდან ტყვიის სროლა და სხვა, ხოლო ყაჩაღობის დროს თავდასხმა უნდა მოხდეს აშკარად, ამავე დროს ქმედება დაზარალებულის მიერ აღქმული უნდა იქნეს, როგორც ნივთის დაუფლების მიზნით ჩადენილი და ამ თავდასხმას თან უნდა ახლდეს ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნა.

ქართველი მეცნიერი ბ.ფურცხვანიძე განიხილავს ასევე ისეთ შემთხვევას, როდესაც მკვლევლობა ჩადენილია არა ანგარებით, არამედ რაიმე სხვა მოტივით, მაგ. შურისძიებით, ეჭვიანობის ნივთებით და ა.შ., მაგრამ მკვლევმა დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობის შემდეგ ერთბაშად განიზრახა დაუფლებოდა მოკლულის ქონებას და კიდევაც გაიტაცა ის. ამგვარი ქმედების დაკვალიფიცირება, როგორც ანგარებითი მკვლევლობისა ბ.ფურცხვანიძის აზრით – არ იქნებოდა სწორი, რადგან პროფ. მ. დ. შარგოროდსკის სავესებით მართებული აღნიშვნით “მოტივმა უნდა გამოიწვიოს მკვლევლობა და არა მას შემდეგ წარმოიშვას”. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში მკვლევლობის შემდეგ ქონების გატაცება განხილულ უნდა იქნეს, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული (ქურდობა) და მთელი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.³²

³² ბ.ფურცხვანიძე. დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. თბილისი 1960. გვ.30-31

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია, რომ ანგარებითი მკვლევლობის დროს თვით ქმედებამ უნდა ამოწუროს მიზანი, ანუ ნივთის დაუფლება უნდა მოხდეს მკვლევლობის შედეგად, მაგრამ არის მკვლევლობის ისეთი შემადგენლობები, როცა მართალია მკვლევლობა ანუ სიკვდილის დადგომა ვერ ხდის პირს ქონების მფლობელად, ე.ი. მან უნდა შეასრულოს გარკვეული ქმედება ნივთის დასაუფლებლად, მიუხედავად ასეთი ვითარებისა ის მაინც უნდა განვიხილოთ, როგორც ანგარებით ჩადენილი მკვლევლობა, რაგდან ანგარება – ეს პირადი გამორჩენის მიზანია და არ გამორიცხავს ნივთის უმაღვე დაუფლებასაც.

ამ საკითხთან დაკავშირებით თ. წერეთელი აღნიშნა, რომ “ანგარებითი მკვლევლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, უშუალოდ მკვლევლობისთანავე მიიღებს ქონებას ან ქონებრივ გამორჩენას მკვლელი, თუ მკვლევლობის მომენტიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. მთავარია მკვლევლობა ჩადენილი იყოს ანგარების მიზნით.”³³

ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლევლობის დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ყაჩაღობა და მკვლევლობა ანგარებით. რადგან თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს მკვლევლობა ნივთის დაუფლების მიზნითაა ჩადენილი, მაშინ მკვლევლობის განხილვა, როგორც ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით განხორციელებული მკვლევლობისა არ შეიძლება. ამ საკითხზე დეტალურად ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

დაუბრუნდეთ იმ საკითხს, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობის დროს ჩადენილი მკვლევლობა. ამ საკითხზე ვ.დ. მენშაგინი და ზ. ა. ვიშინსკაია აღნიშნავენ, რომ ყაჩაღობის დროს ბრალეული პირი მიზნად ისახავს ამა თუ იმ მატერიალური სიკეთის მიღებას, უშუალოდ მკვლევლობის ჩადენისთანავე (მაგალითად, დაზარალებულისაგან ფულის ან სხვა ფასეულობის ამოღება უმაღვე მკვლევლობის შემდეგ) ანგარებით მკვლევლობის დროს კი ბრალეულს განზრახვა აქვს ესა თუ ის მატერიალური გამორჩენა მიიღოს მკვლევობიდან გარკვეული დროის გავლის შემდეგ (მაგ. დაზარალებულის ქონების მომავალში მიღება, მოკლულის საცხოვრებელი ფართობის მომავალში დაუფლება და ა.შ.)³⁴

³³ ვ.მაყაშვილი, მ.მაჭავარიანი, თ.წერეთელი, თ.შავგულიძე – დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიეროპრაქტიკული კომენტარი) თბილისი 1980. გვ.18-22.

³⁴ В.Д.Меньшагин, З.А.Вьшенская. Советское уголовное право. 1950. стр.299

მკვლევლობისას ნივთის უმაღლეე გატაცება ანგარებით მკვლევლობას, რომ არ გამოიციხავს ამაზე უკვე გეჰქონდა მსჯელობა, ამასთან ისიც ნათელია, რომ ყაჩაღობის შემადგენლობა არ მოიცავს ნივთის დაუფლების მიზნით დაზარალებულის განზრახ მკვლევლობას. მაგ. ა.ა. პიონტკოვსკი წერდა, რომ “ანგარებითი მკვლევლობა იმ ქონების დაუფლების მიზნით, რომელიც დაზარალებულს თან აქვს, ერთდროულად წარმოადგენს ხელყოფას პიროვნებაზე და ქონებაზე, იგი ძალიან უახლოვდება ყაჩაღობის შემადგენლობას, რომლის დროსაც იმ ქონების გატაცებას, რომელიც დაზარალებულს თან აქვს შეიძლება მკვლევლობაც მოჰყვეს”³⁵ როგორც ვხედავთ ყაჩაღობის დროს ჩადენილი მკვლევლობა და ანგარებითი მკვლევლობა ძალიან უახლოვდება ერთმანეთს, მაგრამ არ წარმოადგენენ ერთნაირ შემადგენლობებს ანუ ანგარებით მკვლევლობა არ არის ყაჩაღობის შემადგენლობაში და ამ აზრს როგორც ვნახეთ იზიარებს ა.ა. პიონტკოვსკიც.

ჩვენთვის ნათელია ის, რომ ყაჩაღობის შემადგენლობა არ მოიცავს ნივთის დაუფლების მიზნით დაზარალებულის განზრახ მკვლევლობას. მკვლევლობასთან გაერთიანებული ყაჩაღობის კვალიფიკაციის პრობლემების განხილვისას, ისმება კითხვა, ხომ არ ჯდება დამნაშავეის მოქმედება მხოლოდ განზრახ მკვლევლობის ჩარჩოში, რომელიც ჩადენილია ანგარების მოტივით?. კერძოდ ი.მ.კულბერგმა გამოთქვა აზრი, რომ “დაზარალებულის ქონების მიტაცება მკვლევლობის გზით წარმოქმნის არა დანაშაულის ერთობლიობას, არამედ ერთ დანაშაულებრივ ქმედებას – მკვლევლობა ანგარების განზრახვით.”³⁶ “თუმცა მსგავსი აზრი საეჭვოა მივიღოთ სწორად – აღნიშნავს ვ.ა.კლადიმროვი – და ყველაზე უფრო იმ მიზეზით, რომ ანგარებით მკვლევლობა არ შემოიფარგლება ქონების გატაცებით, რადგან მკვლევლობის ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე, და არა საკუთრებასთან დამოკიდებულება. გარდა ამისა, ანგარებით მკვლევლობის ცნება შემოიფარგლება ქმედების გაცილებით ფართო წრით, ვიდრე მკვლევლობა, გაერთიანებული მოკლულის ქონების გატაცებასთან.”³⁷

³⁵ ა.ა.პიონტკოვსკი – დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბილისი. 1940. გვ.28

³⁶ Советское государство и право. М., 1962. №11, стр.135

³⁷ Н.И.Загородников, Преступления против жизни. М., 1961. стр.123, С.Б.Бородин. Квалификация убийства. М., 1963. стр.32. А.В.Наумов. Мотивы убийства. Волгоград. 1969. стр.29. В.А.Влидимеров. Квалификация похищений личного имущества. М., 1974. стр.202

ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო აზრიც: ყაჩაღობის შემადგენლობით შემოიფარგლება განზრახ მკვლევლობა, თუ ის გამოდიოდა, როგორც დაზარალებულის ნივთის მითვისების საშუალება. ითვლება რა, რომ ყაჩაღობა, გაერთიანებული მკვლევლობასთან, უნდა კვალიფიცირდებოდეს მხოლოდ, როგორც ყაჩაღობა დამამძიმებელ გარემოებებში, და არა ერთობლიობა ამ დანაშაულებისა. მაგალითად ვ.დ.მენშაგინი, აღნიშნავდა, რომ ასეთ შემთხვევებში “იქნება ხელოვნური მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში დანაშაულთა ერთობლიობით, რასაც არა აქვს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრაში.”³⁸

ასეთ შეხედულებას არ ღებულობს ვ.ა.ველადიმროვი “არ ვიტყვი უკვე იმაზე, რომ ქმედების კვალიფიკაცია არ შეიძლება იყოს დამოკიდებული სასჯელზე, ასეთი რეკომენდაცია არა სწორია არსებითადაც. განზრახ მკვლევლობა თავისთავად არის იმდენად მძიმე დანაშაული, რომ ის არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ნიშან-თვისება, თუნდაც განსაკუთრებული კვალიფიცირებისა, სხვა ქმედებისა, ყაჩაღობის მოცემულ შემთხვევაში.”³⁹

მაშასადამე, ყაჩაღობა, გაერთიანებული დაზარალებულის მკვლევლობასთან, უნდა განიხილებოდეს არა როგორც ანგარებით მკვლევლობა ან როგორც მხოლოდ ყაჩაღობა, არამედ, როგორც ამ დანაშაულების ერთობლიობა. ამავე დროს, რადგან მკვლევლობა ყაჩაღური თავდასხმისას არის ერთ-ერთი სახე ანგარებითი მკვლევლობისა, წარმოიქმნება აუცილებლობა ზღვარის დადგენისა, რომელიც გაყოფს ამ ქმედებებს.

ყაჩაღობის ობიექტად ითვლება, როგორც ცნობილია, არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობა, არამედ უწინარეს ყოვლისა საკუთრება: ანგარებითი მკვლევლობის ობიექტს შეადგენს ადამიანის სიცოცხლე. ხელყოფა პიროვნებაზე ყაჩაღობისას, გაერთიანებული მკვლევლობასთან ხდება დაზარალებულის მკვლევლობით, ხოლო საკუთრებაზე – მოკლულის ქონების მიტაცებით. დამნაშავის ასეთი ქმედების ჩადენისას მის განზრახვას მოიცავს ორივე ეს მომენტი – მკვლევობაც და გატაცებაც.

³⁸ «Усиление охраны личной собственности граждан» М., 1948. стр.47. Б.С.Никифоров. Уголовно-правовая охрана личной собственности в СССР. М., стр.108

³⁹ ვ.ა.ველადიმროვის დას. ნაშრომი. გვ.203.

ასე მაგალითად, ნოვოსიბირსკის სამხარეო სასამართლოს განაჩენით სხეულის მძიმე დაზიანებით ჩადენილი ყაჩაღობის და ანგარებით მკვლელობისათვის გასამართლდა კ. რადგან მან მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა ჩ-ზე, რა დროსაც დაზარალებულს მიაყენა ჭრილობები, რის გამოც იგი გარდაიცვალა, შემდეგ მითთვისა მისი ნივთები ფაფახი და შარფი.⁴⁰

ყაჩაღური თავდასხმისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის მიმართულია ფულისა და სხვა ფასეულობათა მიტაცებისაკენ, ანგარებით მკვლელობა შეიძლება იყოს მიმართული ე. წ. უძრავი ქონების (საცხოვრებელი სახლი, აგარაკი და სხვ.) არაკანონიერი დაუფლებისაკენ. შემთხვევა არ კვალიფიცირდება, როგორც ყაჩაღობა, გაერთიანებული მკვლელობასთან, მაშინაც კი როცა მკვლელობა ხდება არა სხვისი ქონების მითვისების მიზნით, არამედ, მაგალითად ნივთების, რომლებიც ეკუთვნის დამნაშავესა და დაზარალებულს საერთო საკუთრების უფლებით.

გარდა ამისა, ყაჩაღობად არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ისეთი ქმედება, როცა თავდამსხმელმა მოითხოვა უძრავი ქონების მის მფლობელობაში გადაცემა. მაგ. წურწუშია თავს დაესხა თავის მამკვიდრებელს (ბიძას) და მოკვლის მუქარით მოსთხოვა მისთვის გადაეცა საკუთრების უფლებით ზღვისპირას მდებარე აგარაკი. ბიძის მიერ წინააღმდეგობის გაწევის დროს წურწუშიამ იგი მოკლა, რის შემდეგაც იგი გახდა ამ ქონების მესაკუთრე. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ანგარებით მკვლელობას. რაც შეეხება ყაჩაღობას ამ სიტუაციაში სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი არ გამოგვადგება, ვინაიდან ხსენებული მუხლის დისპოზიციაში საუბარია სხვისი მოძრავი ნივთის მისაკუთრების მიზნით თავდასხმაზე, ხოლო აგარაკი არის უძრავი ნივთი და ამდენად ყაჩაღობის მუხლით ამ სახის თავდასხმის კვალიფიკაცია არ იქნება მართებული. (ამ მაგალითში დამნაშავეს ქმედება შეიცავს გამოძალვის ნიშნებს-რ.კ.).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყაჩაღობა და ანგარებით მკვლელობა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ობიექტური ნიშან-თვისებებითაც: ყაჩაღობისათვის დამახასიათებელია ქონების გატაცება და მისი შესრულებისას მკვლელობა არის დაზარალებულის ქონების დაუფლების საშუალება. თავისი მიზნის მისაღწევად დამნაშავე არ შემოიფარგლება დაზარალებუ-

⁴⁰ Бюллетень Верховного Суда. М., 1967. №1. стр.9

ლის მკვლევლობით, რადგან ის არ ქმნის მას ქონების მფლობელად, რისკენაც მიმართულია მისი ანგარებისადმი სწრაფვა: ის მას უნდა დაეუფლოს.

რაც შეეხება, ანგარებით მკვლევლობას, მისი ჩადენისას თვითონ მკვლევლობა ამოწურავს ქმედებას, რადგანაც დამნაშავეის აზრით, დაზარალებულის სიკვდილმა უკვე უნდა მოუტანოს მოსალოდნელი ქონებრივი მოგებანი (მემკვიდრეობის გახსნა, კრედიტორის მოშორება).⁴¹

ამდენად, როგორც ვნახეთ, ამ ორ დანაშაულს შორის ბევრი საერთოა და მათ შორის განსხვავების დადგენა რთულია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ანგარებით მკვლევლობის დროს დაზარალებულის სიკვდილი მუდამ წინ უნდა უსწრებდეს ქონების დაუფლებას. ყაჩაღობის დროს ეს აუცილებელი არ არის.

ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ნ.ტაგანცევს. იგი წერს: “ერთადერთ ნიშნად, რომელიც ყაჩაღობას ანსხვავებს გაძარცვის მიზნით მკვლევლობისაგან, ითვლება განზრახვის ხასიათი. პირველ შემთხვევაში ბრალდებული მოქმედებს გაძარცვის განზრახვით, მაგრამ ამ გეგმის შესრულებისათვის ჩადის მკვლევლობას არაპირდაპირი განზრახვით; მეორე შემთხვევაში ბრალეულს მხედველობაში აქვს პიროვნების სიცოცხლის მოსპობა, რასაც სჩადის ანგარების მიზნით.”⁴²

მნიშვნელოვანია ასევე ქართველ მეცნიერთა მიერ გამოთქმული შეხედულება ზემოთხსენებულ საკითხზე. ყაჩაღობით მკვლევლობასა და ანგარებით მკვლევლობას შორის განსხვავება პროფ. ზ.წულაიამ ასე ჩამოაყალიბა: “ა) ყაჩაღობის დროს დაზარალებულის ქონება ბრალეულ პირთან ყოველთვის გადადის მკვლევლობის ჩადენისთანავე, ხოლო ანგარებით მკვლევლობისას ბრალეული პირი მიზნად ისახავს ამა თუ იმ მატერიალური გამორჩენის მიღებას მხოლოდ მკვლევლობის მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ; ბ) ყაჩაღობის დროს დაზარალებულის სიკვდილი აუცილებელი არ არის ბრალეული პირის მიერ მისი ქონების დაუფლებისათვის, მაშინ როდესაც ანგარებით მკვლევლობისას დაზარალებულის სიკვდილი, როგორც ქმედების აუცილებელი შედეგი, მუდამ

⁴¹ ვ.ა.ვლადიმეროვის დას. ნაშრომი. გვ.204.

⁴² Н. Таганцев. О преступлениях против жизни по русскому праву. М., 1902. часть Iю стр.101

უსწრებს წინ მის დაუფლებას; გ) თუ ანგარებითი მკვლევლობისას დამნაშავეს სურს სწორედ ამ გზით მიიღოს დაზარალებულისაგან ესა თუ ის მატერიალური გამორჩენა, ყაჩაღობის დროს ამ მიზნის მისაღწევად დამნაშავეს ყოველთვის როდი სურს დაზარალებულის სიკვდილი, მკვლევლობას იგი მაშინ მიმართავს, როცა სხვა საშუალებით მიზნის მიღწევა (სხვისი ქონების დაუფლება) ურთულდება.”⁴³

მკვლევლობასთან გაერთიანებული ყაჩაღური თავდასხმის თავისებურება, არის ის, რომ განზრახვა დაზარალებულის ქონების მითვისებისა დამნაშავეს უჩნდება თავდასხმამდე და ძალადობის გამოყენებამდე. ამიტომ, როგორც უკვე აღინიშნა იმ შემთხვევაში, როცა ქონების მითვისების სურვილი დამნაშავეს გაუჩნდა მკვლევლობის ჩადენის შემდეგ, მაშინ ყაჩაღობის შემადგენლობა ასეთ ქმედებაში არ არის.⁴⁴

⁴³ ზ.წულაია. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. თბ. 2001. ტ.2. გვ.69-70.

⁴⁴ ე.ა.ეღლადიმიროვის დას. ნაშრომი. გვ.204-205.

თავი III

განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის შემაღბენლობები

§1. მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით

მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკედავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული მუხლის დისპოზიცია პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მომაკედავის პირდაპირი განზრახვით ⁴⁵ მკვლელობისათვის.

აღნიშნული მკვლელობის თავისებურება გახლავთ ის, რომ მკვლელს მკვლელობის განზრახვას აღუძრავს თვითონ მსხვერპლი, რომელიც დაჟინებით ითხოვს მისთვის სიცოცხლის მოსპობას. “დისპოზიციაში მოხსენიებული მსხვერპლის დაჟინებული თხოვნა მისი ნების შესაბამისად –აღნიშნავს პროფ. ზ. წულაია – გვევლინება ისეთ ფაქტორად რაც შთაგონების აღმოცენების საფუძველია. ეს უკანასკნელი გულისხმობს პიროვნებაზე ისეთ ზემოქმედებას, როდესაც მას საკუთარი სურვილისა და განზრახვის გარეშე, ზოგჯერ კი მის საპირისპიროდ, ექმნება გარკვეული გრძნობა ან სურვილი რაიმე მოქმედების შესრულებისა, რაც არ გამომდინარეობს მისი მოქმედების აღიარებული პრინციპისაგან. შთაგონების საშუალება მოცემულ შემთხვევაში არის მომაკედავის დაჟინებული თხოვნა ბრალდებულზე, რომ ამ უკანასკნელმა მას მოუსპოს სიცოცხლე.”⁴⁶

თავის მხრივ მკვლელმა მკვლელობა უნდა ჩაიდინოს მომაკედავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით. ანუ მკვლელობის მიზანი უნდა იყოს მსხვერპლის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლება.

⁴⁵ პროფ. ზ. წულაიას მიაჩნია, რომ ამ სახის მკვლელობა ხდება მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით.

⁴⁶ ზ. წულაია – სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ტომი პირველი. თბ. 2000 წ. გვ.84.

დისპოზიციიდან ჩანს, რომ კოდექსის 110-ე მუხლმა განსაზღვრა მხოლოდ ფიზიკური ტკივილი, ამიტომ გამორიცხულია ფსიქიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი პირის მისივე თხოვნით მკვლელობის ამ მუხლით კვალიფიკაცია. მაგალითად, ხშირად შეილ მკვლარი დედები ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში იმყოფებიან და თხოვენ გარშემომყოფებს მოუსპონ მათ სიცოცხლე, რადგან მიაჩნიათ, რომ მათ ცხოვრებას შვილის გარეშე აზრი არა აქვს. მიუხედავად ამისა, მათი მკვლელობა თუნდაც მსხვერპლის ფსიქიკური ტანჯვისაგან გათავისუფლებას ისახავდეს მიზნად არის განზრახ მკვლელობა და მას არავითარი კავშირი არა აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან.

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი დანაშაული გათვალისწინებული არ იყო. 1999 წლის 22 ივლისის კოდექსის პროექტზე მომუშავე ქვეკომისიამ გაითვალისწინა ასეთი შემადგენლობა, თუმცა თავიდან კომისიაში იყო მოსაზრება, რომ აღნიშნული მუხლი ყოფილიყო ორ ნაწილიანი, სადაც პირველ ნაწილში გათვალისწინებული იქნებოდა პრივილეგირებული შემადგენლობა, თუმცა ამისათვის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა დაწესდებოდა, ვიდრე ევთანაზიის გამო, რომელიც მუხლის მეორე ნაწილით იქნებოდა გათვალისწინებული, მაგრამ კომისიის წევრთა უმრავლესობამ ამ მოსაზრებას მხარი არ დაუჭირა და მუხლის დისპოზიცია დამტკიცდა დღეს არსებული მდგომარეობით.⁴⁷

სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ანუ ევთანაზია ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალულია, მაგრამ არის ქვეყნები სადაც ის დაშვებულია. (მაგ., ბელგია)

ევთანაზია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ტკბილ, მსუბუქ სიკვდილს.

1980 წლის “ევთანაზიის შესახებ დეკლარაციაში” იგი განიმარტა, როგორც ქმედება, რომელიც განზრახ იწვევს ავადმყოფის სიკვდილს, ჩადენილი მისი აუტანელი, მძიმე ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით ამ უკანასკნელის რეალური და გაცნობიერებული ნების შესაბამისად.

იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა ამ დანაშაულის კოდექსში არსებობის შესახებ. ზოგიერთ მეცნიერს

⁴⁷ ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 27.

მიანინა, რომ ასეთ შემთხვევაში ჩადენილი მკვლევობა უნდა ითვლებოდეს შემამსუბუქებელ გარემოებად.

ამ საკითხს ეხება პროფ. მ. ლეკვეიშვილი და აღნიშნავს, რომ “როგორ შეიძლება პასუხისმგებლობა არ შეუქმნებოდეს პირს, რომელსაც სამხედრო კონფლიქტის დროს მიიმედა დაჭრილი მეგობარი დაუინებით სთხოვს, რომ სიცოცხლეს გამოასალმოს, ან კიდევ, როდესაც ექიმი შვილი ხედავს დედის აუტანელ ტანჯვას და იცის, რომ მას არაფერი ეშველება და დედის დაუინებელი თხოვნით, ფიზიკური ტკივილებისაგან გათავისუფლების მიზნით უკეთებს მას მორფიუმის სასიკვდილო დოზას.”⁴⁸

ამ პოზიციასაც ჰყავს მოწინააღმდეგეები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი იძლევა მისი ბოროტად გამოყენების საშუალებას. ეს მოსაზრება უსაფუძვლო არ არის, მაგრამ თუკი იქნება საკანონმდებლო ბაზა და საგამოძიებო ორგანოების ეფექტური მუშაობა ამ პრობლემის მოგვარება ძნელი არ იქნება.⁴⁹ ჩვენი აზრით, ევთანაზია უნდა იყოს დაშვებული, მაგრამ უნდა მოხდეს კანონით მისი მკაცრად მოწესრიგება.

ჩვენს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ საქართველოში ევთანაზიის პასიური ფორმა დაშვებულია. მართალია ამაზე კანონში პირდაპირ მითითებული არ არის მაგრამ “პაციენტის უფლებების შესახებ” და “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” კანონებში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია მკურნალობის ჩატარება პირის ნების საწინააღმდეგოდ. ამ წინადადებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა:

ავადმყოფს უფლება აქვს მოითხოვოს მკურნალობის შეწყვეტა, თუნდაც ეს მისთვის სასიკვდილო იყოს. მაგ., ავადმყოფს აწუხებდა მიიმე ტკივილები და სურდა სიკვდილი. მან დაუინებით სთხოვა ექთანს, მისთვის არ გაეკეთებინა ნემსი, რაც მხოლოდ ტანჯულ სიცოცხლეს გაუხანგრძლივებდა. ექთანი ასეც მოიქცა, ავადმყოფი გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში ექთანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

⁴⁸ მ. ლეკვეიშვილი – ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზოგიერთი თავისებურება ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. თბ. 2000 წ. უურ. “სამართალი” № 6-7. გვ. 84.

⁴⁹ მ. ლეკვეიშვილი – ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზოგიერთი თავისებურება ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. თბ. 2000 წ. უურ. “სამართალი” № 6-7. გვ. 84.


ევთანაზია, როგორც ტერმინი პირველად გამოიყენა ფრენსის ბეკონმა (XVI–XVII სს.) უმტკივნეულო, მსუბუქი სიკვდილის აღსანიშნავად.

არსებობს იძულებითი და ნებაყოფლობითი ევთანაზია. ამასთან ცნობილია ნებაყოფლობითი ევთანაზიის ორი ფორმა: პასიური და აქტიური. (იხ. სქემა № 1)

ამდენად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის დისპოზიციის განხილვის შედეგად მიგვდით იმ დასკვნამდე, რომ ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია არსებობდეს შემდეგი გარემოებები:

1. მკვლელობა უნდა მოხდეს მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად;
2. მსხვერპლი უნდა განიცდიდეს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს. ყოველ შემთხვევაში მკვლელი დარწმუნებული უნდა იყოს ამაში.
3. მკვლელი უნდა ისახაედეს მიზნად ავადმყოფის ტკივილისაგან გათავისუფლებას.

სქემა №1



§2. დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაცია

დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობას შემდეგ, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ერთ-ერთი უმძიმესია ახალშობილის განზრახ მკვლელობა. მკვლელობა თავისთავად უარყოფითი მოღენაა და მის ჩამდენს პირთა მიმართ სასჯელს იყენებს კანონი.

ახალშობილის მკვლელობა გაცილებით შემზარავია და იწვევს საზოგადოების აღშფოთებას. ის ვინც ბავშვს კლავს აწლენს განსაკუთრებულ სისასტიკეს, მაგრამ ეს სისასტიკე არის მხოლოდ ადამიანის ხასიათში და არა მის მოქმედებაში, თუმცა შესაძლებელია ახალშობილის მკვლელობა ჩადენილ იქნას განსაკუთრებული სისასტიკით და მას შესაბამისი მუხლით კვალიფიკაცია ესაჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ ახალშობილის მკვლელობა აღმაშფოთებელი ფაქტია, ის მაინც ითვლება ისეთ მკვლელობად, რომელიც ჩადენილია შეამამსუბუქებელ გარემოებებში, მაგრამ ახალშობილის მკვლელობა მხოლოდ დედის მიერ მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ ჩადენილი ითვლება ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებლად და არა სხვა პირის მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობისათვის, რომელიც ჩადენილია მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ.

როგორც ვნახეთ, კანონი განსაზღვრავს დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ.

ვინაიდან მკვლელობა გულისხმობს სიცოცხლის მოსპობას დადგენილ უნდა იქნას ის მდგომარეობა თუ როდის და რა მომენტში ითვლება ადამიანის სიცოცხლე სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტად?

სისხლის სამართალში ადამიანის სიცოცხლის დასაწყისად ითვლება ადამიანის დაბადების პროცესის დაწყების მომენტი.

ჩვენი აზრით, დაბადების პროცესი იწყება დედის ორგანიზმიდან ნაყოფის გამოსვლით.⁵⁰ თუმცა სამედიცინო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ადამიანის ნაყოფი საშვილოსნოს გარეშე ცხოვრების უნარს იქენს ნორმალური მშობიარობის დაწყებამდე ბევრად ადრე. მაგ., სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკაში მომწიფებულად ითვლება ჩვილი, რომელიც არანაკლები რვა მთვარეული თვის განმავლობაში იმყოფება საშვილოსნოში, ხოლო თუ იგი საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის სტაციონალურ პირობებში ცხოვრობს საშვილოსნოს გარეშე, პრაქტიკულად იგი სიცოცხლისუნარიანი ხდება შვიდი მთვარეული თვის ასაკის მიღწევისას.⁵¹

უნდა აღინიშნოს ის, რომ ნაყოფის მუცლად ყოფნის დროს მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. მაგ. ნაადრევი მშობიარობის გამო ახალშობილი მოთასებულ იქნა ხელოვნურ სინჯარაში. მიუხედავად იმისა, რომ ის (ბავშვი) არ იყო მომწიფებული, რადგან ის დედის საშვილოსნოში იმყოფებოდა მხოლოდ შვიდი ან რვა მთვარეული თვის განმავლობაში, მისი სიცოცხლის მოსპობა უნდა განვიხილოთ, როგორც ახალშობილის მკვლელობა. (თუმცა ასეთ პირობებში მყოფი ბავშვის მკვლელობა რამდენად იქნება უმაღლვე ჩადენილი და თანაც დედის მიერ ეს სხვა საკითხია). მაგ., შეუღლესთან და მშობლებთან კონფლიქტის გამო, ორსულობის მერვე თვეს, ქალმა მიიღო მედიკამენტები ჩანასახის მოსპობის მიზნით, ბავშვი ვადაზე ადრე ცოცხალი დაიბადა. ექიმების დასკვნით, მისი სიკვდილი რამდენიმე დღეში გარდაუვალი იყო. დედამ ბავშვი მშობიარობის შემდეგ უმაღლვე მოკლა. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას უმაღლვე მშობიარობის შემდეგ.

ყოველივე ზემოთ თქულიდან გამომდინარე განსახილველი მუხლის მიხედვით მკვლელობის ობიექტს წარმოადგენს იმ ჩვილის სიცოცხლე, რომელიც არის ახალშობილი და დედისგან დამოუკიდებლად არსებობის უნარი გააჩნია.

იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა მიერ ამ საკითხზე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევაში მხედველობის გარეშე რჩებოდა ადამიანის შეგნება, რადგან მათი

⁵⁰ ჩვენ ვგულისხმობთ ცოცხალ ახალშობილად იმ ნაყოფს, რომელსაც პირველი დამოუკიდებელი ჩასუნთქვა და დედისგან დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია ანუ ის აგრძელებს სიცოცხლეს საშვილოსნოს გარეშე.

⁵¹ Большая медицинская энциклопедия. Т.8. М. 1978. стр. 235.

აზრით ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვზე ზემოქმედება ორსულობის შეწყვეტის მიზნით, არ იწვევს პიროვნების ცნობიერებაში სიცოცხლისადმი ხელყოფის ასოციაციას და მაშასადამე არ შეიძლება გავაიგივოთ მკვლელობასთან.

ბ. ფურცხვანიძე აღნიშნავს, რომ „მშობიარობის დაწყების მომენტიდან ე.ი. იმ მომენტიდან, როდესაც ნაყოფი იმდენად მომწიფებულია, რომ იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას დედის სხეულის გარეშე, მისი მოსპობა მკვლელობად ჩაითვლება (ორსული ქალის ნაყოფის მოსპობა მშობიარობის დაწყებამდე განიხილება არა მკვლელობად არამედ აბორტად).“⁵² იმისათვის რომ გაიმიჯნოს ზოგიერთი სადაო ცნება დამატებით ვიტყვი იმას, რომ „სიცოცხლის საწყისი“ არის სულ სხვა ცნება და როგორც ზემოთ ითქვა ის მოიცავს ნაყოფის სიცოცხლის უნარიანობის შექმნას უკვე დედის საშვილოსნოში, ხოლო „ადამიანის სიცოცხლის საწყისი“ არის დაბადების პროცესის დაწყება სწორედ ამ მომენტიდან არის ნაყოფი სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი. (მუხლი 112.)

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი, რომ ადამიანის სიცოცხლის საწყისად უნდა ჩაითვალოს სუნთქვის დაწყება და დედის საშოსაგან მთლიანი გამოყოფა (ჭიპლარის გადაჭრა) გარდა ამისა, ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ ადამიანის სიცოცხლის პირობით საწყისად ჩაითვალოს ფიზიოლოგიური მშობიარობის დაწყება.

იურიდიულ ლიტერატურაში დავაა იმ საკითხზე თუ დაბადებიდან რამდენი ხნის განმავლობაში ითვლება ბავშვი ახალშობილად. მაგ., პროფ. ზ. წულაია აღნიშნავს, რომ “სამედიცინო პრაქტიკაში ახალშობილად ითვლება ბავშვი ერთ თვემდე. უფრო მეტი ასაკის ბავშვის მკვლელობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ჩვენს მიერ განსახილველი მუხლით.”⁵³ სამედიცინო ლიტერატურაში ახალშობილად ითვლება ბავშვი პირველი 24 საათის განმავლობაში.⁵⁴

იურიდიულ ლიტერატურაში მიმდინარე მსჯელობა იმის თაობაზე თუ რამდენი ხნის განმავლობაში ითვლება ბავშვი ახალშობილად, ჩვენი აზრით, არის უსაგნო, რადგან ამას არავი-

⁵² ბ. ფურცხვანიძე-საბჭოთა კანონმდებლობა მოქალაქეთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. თბ. 1964. გვ. 8.

⁵³ ზ. წულაია – სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ტომი პირველი. თბ. 2000 წ. გვ. 93

⁵⁴ თ. გორდელაძე – სასამართლო მედიცინა, თბ. 2001 წ. გვ. 84-86.

თარი პრაქტიკული და არც თეორიული მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის დისპოზიციაში ცალსახადაა აღნიშნული, რომ მკვლელობა უნდა მოხდეს მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ. სიტყვა “უმალვე” ნიშნავს რაღაცის გაკეთებას ჩქარა, სწრაფად, რაიმე მოქმედებასთან ერთად, მაშინვე. თვალის დახამხამებაში.⁵⁵ ამდენად, დისპოზიციაში საუბარია ახალშობილის მკვლელობაზე, დროის არა ნებისმიერ მონაკვეთში, (მაგ., ერთი თვის ან 24 საათის განმავლობაში ნებისმიერ მონაკვეთში) არამედ მხოლოდ უმალვე მშობიარობის შემდეგ, რომელიც მოიცავს დაბადებიდან რამდენიმე წამს ან წუთს.

ამ საკითხს სწორად წყვეტს პროფ. მ. ლეკვეიშვილი, იგი წერს: “არ შეიძლება ცნება – “უმალვე მშობიარობის შემდეგ” მეტად განერცობით გამოვიყენოთ, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი აკეთებს. ტერმინი “უმალვე” მის ზუსტ არსს უნდა ასახავდეს, ამიტომ დანაშაულებრივი ქმედება უნდა განხორციელდეს მშობიარობის დასრულებისთანავე.”⁵⁶

აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

ობიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენა გამოიხატება, როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში.

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი მეცნიერი ეწინააღმდეგებოდა ახალშობილის მკვლელობის პრივილეგიურ ბუნებულ შემადგენლობად გამოყოფას. მაგ., თ. ჯუსოევი აღნიშნავს, რომ “არამართლზომიერად მიგვაჩნია ახალშობილის ყველანაირი მკვლელობის მიკუთვნება შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულებთან.”⁵⁷

თ. ჯუსოევი მხარს უჭერს ნ. ზაგოროდნიკოვის მოსაზრებას ჩვილი ბავშვის მკვლელობის შემთხვევების ორ ჯგუფად პირობით დაყოფის შესახებ, რომლის მიხედვითაც ჩვილის მკვლელობა დაყოფილია: მკვლელობად, რომლის მოტივები უშუალოდაა განპირობებული მშობიარობის ფაქტით და ახალშობი-

⁵⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბ. 1990 წ. გვ. 934.

⁵⁶ მ. ლეკვეიშვილი – ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზოგიერთი თავისებურება ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. თბ. 2000 წ. ქურ. “სამართალი” № 6-7. გვ. 86.

⁵⁷ თ. ჯუსოევი – ახალშობილის მკვლელობის საკითხისათვის. ქურ. “საბჭოთა სამართალი” 1989 წ. №1. გვ. 62.

ლის მკვლევლობა, რომელიც წარმოადგენს ზოგადი ანტისა-ზოგადოებრივი მოტივების ისეთ გამოვლენას, როგორცაა ანგარება, ეგოიზმი და ა. შ.⁵⁸

ყოველივე ამის შემდეგ თ. ჯუსოევი აკეთებს დასკვნას, რომ “კონკრეტული გარემოებების არსებობისას დედის მიერ ახალშობილის მკვლევლობა, ჩვენის აზრით, შეფასებული უნდა იყოს ან როგორც მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებებში, ან როგორც მკვლევლობა შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე და არ უნდა ითვალისწინებდეს სასჯელის შემსუბუქების აუცილებლობას”⁵⁹

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არ არის სწორი, რადგან როგორც ამას პროფ. მ. ლეკვეიშვილი ამბობს “ორსულობა და განსაკუთრებით კი არასასურველი ფიზიოლოგიური მშობიარობა ქალის ფსიქიკას თავის დაღს ასვამს. მშობიარობის დროს ქალი განიცდის ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ზემოქმედებას და თუ ამას მისი მიტოვება, სახლიდან გაგდება, გაიციხვა, მატერიალური სიდუხჭირე, უბინაობა და სხვა მისთ. მატება, ხდება უარყოფითი ემოციების აკუმულაცია, რასაც ქალის აფექტურ ქცევამდე და ახალშობილის მკვლევლობამდე მიყვავართ.”⁶⁰

ამ საკითხს ეხება პროფ. ო. გამყრელიძე და აღნიშნავს, რომ “სსკ-ის 112-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა სპეციალური შემადგენლობაა. ამ დროს დედა იმყოფება განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობაში. დედის მიერ ახალშობილის მკვლევლობა მშობიარობისას შეიძლება იყოს აფექტში ჩადენილი, მაგრამ აფექტი აქ 111-ე მუხლისგან განსხვავებით, არ არის ვიქტიმური, ესე იგი გამოწვეული დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით. მიუხედავად ამისა, დედა ამ შემთხვევაში მხოლოდ პირდაპირი განზრახვით უნდა მოქმედებდეს, რადგან მას ამოძრავებს ახალშობილის მკვლევლობის მიზანი და სხვა არაფერი.”⁶¹

⁵⁸ Н.И. Загородников – Преступления против жизни по советскому уголовному праву. М. 1961 г. с.64.

⁵⁹ თ. ჯუსოევი – ახალშობილის მკვლევლობის საკითხისათვის. ჟურ. “საბჭოთა სამართალი” 1989 წ. №1. გვ. 64.

⁶⁰ მ. ლეკვეიშვილი – ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზოგიერთი თავისებურება ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. თბ. 2000 წ. ჟურ. “სამართალი” № 6-7. გვ. 86.

⁶¹ სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) თბ. 2002 წ. გვ. 71.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლში სიტყვა “ახალშობილი”-ს გამოყენება ერთ შემთხვევაში პირობითია. სხვა შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული მუხლის დისპოზიცია არალოგიკურად და არაზუსტად არის შედგენილი, რადგან იქ საუბარია ახალშობილის მკვლელობაზე მშობიარობისას. როცა საუბარია ახალშობილზე⁶² ეს იმას ნიშნავს, რომ მშობიარობა დამთავრებულია და ჩვილი დაბადებული, ამდენად უკვე დაბადებული ბავშვის მკვლელობა დაბადებამდე ან დაბადების პროცესში პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მშობიარობის პროცესში, როცა მშობიარობა დაწყებულია და ჯერ არ დამთავრებულია ახალშობილზე საუბარი ზედმეტია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ენციკლოპედიებსა და სამედიცინო ლიტერატურაში არსებული განმარტებები.

ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ “ახალშობილია ბავშვი დაბადებიდან 3-4 კვირის განმავლობაში. ჭიპლარის გადაკეთის შემდეგ”⁶³ როგორც ვნახეთ, ახალშობილი დაბადებულად ითვლება ჭიპლარის გადაკეთის შემდეგ. ამდენად დაბადების პროცესში მყოფ ნაყოფს არ შეიძლება ეწოდოს ახალშობილი. მიუხედავად ზემოთ თქმულისა უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლი მოიცავს იმ ნაყოფის სიცოცხლის მოსპობასაც, რომელიც იბადება ანუ რომელმაც დაიწყო გამოსვლა დედის საშვილოსნოდან.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს თანამონაწილეობითაც. მაგალითად, დედა შეიძლება იყოს წამქეზებელი საკუთარი შვილის მკვლელობაში. ამ შემთხვევაში ამსრულებლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით, ხოლო დედის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლისა და 109-ე მუხლის შესაბამისი პუნქტებით, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

⁶² ახალშობილი ანუ ახალდაბადებული, ნიშნავს იმას ვინც ეს-ეს არის დაიბადა. (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. 1990 წ. გვ. 112.)

⁶³ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. II. 1977 წ. გვ.99.

§3. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია

მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით,-

ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ქმედება ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არ არის მართლსაწინააღმდეგო. ასეთ ქმედებებს კანონი დანაშაულად არ ცნობს. უკეთ რომ ვთქვათ გარეგნულად დანაშაულის მსგავსი ქმედებები შეიძლება არ წარმოადგენდეს დანაშაულს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი განსაზღვრავს აუცილებელი მოგერიების ცნებას, რომელიც არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, ამიტომ მკვლელობის კვალიფიკაციის შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს. ამ გარემოებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აუცილებელი მოგერიება.

აუცილებელი მოგერიების უფლების მინიჭება მოქალაქეებისთვის ნიშნავს მათი უფლებების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას და ხელს უწყობს მართლწესრიგის განმტკიცებას. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილი მკვლელობის შემთხვევაში პირი არ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შემთხვევაში, ესე იგი მაშინ, როცა დადგინდება, რომ მომგერიებელმა თავის დაცვა აწარმოვა ისეთი მეთოდებითა და საშუალებებით რომელთა გამოყენება არ იყო აუცილებელი მის მიმართ გამოყენებული თავდასხმის აღსაკვეთად.

ჩვენი აზრით, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილად ჩაითვლება მაშინ თუ:

– თავდასხმა ან თავდასხმის საფრთხე იყო რეალური და არა მოჩვენებითი, თუმცა მოჩვენებითმა მოგერიებამაც შეიძლე-

ბა ზოგჯერ გამორიცხოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ არსებული ვითარება მომგერიებელს აძლევდა საკმარის საფუძველს იმისა, რომ ევარაუდა რეალური თავდასხმის არსებობა და მას შეგნებული არ ჰქონდა ამ ვარაუდის უსაფუძველობა და მცდარობა.

თავდასხმის რეალურობასთან დაკავშირებით პროფ. მ. ტურავას მოპყავს საინტერესო მაგალითი. იგი წერს “ა-მ მოკლა ც, რომელსაც უნდოდა ა-ს მხოლოდ შეშინება, თუმცა მომგერიებლის წარმოდგენით იგი რეალურ თავდასხმას ახორციელებდა (ე. წ. მოჩვენებითი მოგერიება). ასეთი შემთხვევა არ წარმოადგენს აუცილებელ მოგერიებას, ვინაიდან თავდასხმა არ იყო რეალური, ობიექტური, არამედ მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებობდა. მოჩვენებითი თავდასხმის მომგერიებელი არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა იყო მისატყვებელი. თუ შეცდომა მისატყვებელია, მაშინ იგი დაისჯება მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, ხოლო თუ შეცდომა არ დაუშვა და იცოდა, რომ ც. ხუმრობით ან შეშინების მიზნით დაესხა თავს, ა-ს ქმედებაში იქნება განზრახი მკვლელობის ნიშნები.”⁶⁴

ამ საკითხზე პროფ. ზ. წულაია აღნიშნავს, რომ “მკვლელობა მოჩვენებითი მოგერიებისას განიხილება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის საერთო წესის მიხედვით.”⁶⁵ ამ აზრს არ ეთანხმება პროფ. ო. გამყრელიძე და საესებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ “რაც შეეხება მოჩვენებით მოგერიებას, ასეთი შემთხვევა შეცდომის პრინციპის მიხედვით უნდა გადაწყდეს. თუ მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფს შეცდომა არ ეპატიება, მან პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობისათვის.”⁶⁶

– თავდასხმის ან თავდასხმის საფრთხე უნდა იყოს საშიში მომგერიებლის ან სხვისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სხვა სიკეთისათვის.

– თავდასხმის მოგერიებისას ზიანი უნდა მიადგეს მხოლოდ თავდამსხმელს (ხელმყოფს). უნდა აღინიშნოს ის, რომ კანონით დაზიანების მიყენება შეუზღუდავია ვინაიდან, სისხ-

⁶⁴ მ. ტურავა – სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2006 წ. გვ. 94-95

⁶⁵ ზ. წულაია – სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი. თბ. 2000 წ. გვ. 98.

⁶⁶ ო. გამყრელიძე – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 216

ლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში დაზიანების არანაირ შეზღუდვაზე საუბარი არ არის. ამ საკითხზე პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს რომ “ სიტყვები “ხელმყოფის დაზიანება” ფართო ცნებაა და მასში ყოველგვარი დაზიანება, მათ შორის სიცოცხლის მოსპობაც უნდა ვიგულისხმოთ.”⁶⁷

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ამ საკითხზე პროფ. ალ. კვაშილავა იგი წერს: “ შეიძლება განსხვავებული აზრი წარმოიშვას ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის თაობაზე სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მაგრამ აღნიშნულ კანონში მითითებული დაზიანება მოიცავს სიცოცხლის მოსპობასაც. . . ”⁶⁸

– თავდაცვა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. კანონი, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად “აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მერ თავდასხმის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.” მაგრამ იმისათვის, რომ სწორად გადაწყდეს თავდასხმის მოგერიების შესაბამისობის საკითხი, უნდა გავითვალისწინოთ საქმის კონკრეტული გარემოებები საშიშროების ხარისხი და ხასიათი, თავდასხმისა და თავდაცვის ინტენსივობის თანაფარდობა. ბუნებრივია, რომ მომგერიებელი თავდასხმის შედეგად ხშირად სულიერი აღელვების მდგომარეობაშია და შესაძლოა ვერ განსაზღვროს თავდასხმის საშიშროების ხასიათი და შეარჩიოს თავდაცვის სრულიად შეუსაბამო საშუალება. რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ძალიან მძიმე შედეგი, მიუხედავად ამისა მომგერიებელმა შეიძლება პასუხი მაინც არ აგოს.

ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია აქვს ზოგიერთ ქართველ მეცნიერს მაგ., პროფ. ზ. წულაია აღნიშნავს, რომ თითქოს “აფექტის დროს ადგილი აქვს ძლიერ სულიერ აღელვებას, ხოლო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლევლობისას მომგერიებელი იმყოფება ჩვეულებრივი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.”⁶⁹ ეს მოსაზრება საკმაოდ დასაბუთებულად უარყო პროფ. ო. გამყრელიძემ მან აღნი-

⁶⁷ ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 222.

⁶⁸ პ. დაუთაშვილი, ალ. კვაშილავა- სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ. 2003 წ. გვ. 109.

⁶⁹ ზ. წულაია - სისხლის სამართალი. პირველი ტომი, თბ. 2000 წ. გვ. 101.

შნა, რომ “ეს აზრი სრულიად მიუღებელია. როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში მომგერიებელი იყოს “ჩვეულებრივი სულიერი აღელვების მდგომარეობაში”, როცა მას თავდამსხმელთან სამკედრო-სანიცოცხლო ბრძოლა აქვს გამართული და მისი სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია.”⁷⁰ ის, რომ მომგერიებელი არ შეიძლება იმყოფებოდეს ჩვეულებრივ მდგომარეობაში ამას ამტიკებს პროფ. მ. ტურავაც ⁷¹

ჩვენი აზრით, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მომგერიებელი არ იმყოფება მშვიდად, რადგან პირს არა აქვს პირდაპირი განზრახვა მკვლელობის მიმართ. თუ პირმა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაამეტა პირდაპირი განზრახვით, ანუ მან იცოდა რომ ხელმყოფის მოკვლა აუცილებელი არ იყო მაგრამ სურდა მისი მოკვლა და მოკლა კიდევ ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით. (ეს შეიძლება იყოს სსკ-ის 108-ე, 109-ე, 111-ე და ა. შ. მუხლები)

აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილი მკვლელობები არც თუ უცხოა სასამართლო პრაქტიკისათვის, საიდანაც მოგიყვანთ ერთ შემთხვევას, რომელიც განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ. საქმის ვითარება განაჩენით დადგენილია და არის შემდეგი:

ამბროლაძე,⁷² რაზმადის კუთვნილ ავტომანქანაში ჩაჯდა გოგუას შეთავაზებით. იგი მოთავსდა გოგუას უკან, სალონის მარჯვენა მხარეს, ხოლო მშვილდაძემ საჭე დაუთმო გაბრიჩიძეს და თვითონაც ავტომანქანის უკანა სავარძელში გადავიდა. გოგუას მითითებით ისინი გაემართნენ ქუთაისის ავტოქარხნის მარჯვენა დასახლებაში არსებულ სასაფლაოსაკენ. მანქანის მსვლელობის დროს გოგუამ და მშვილდაძემ ამბროლაძეს მიაყენეს, როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური შეურაცხოვა და დაემუქრენ მოკვლით. გოგუამ მანქანის გაჩერების შემდეგ თავისი სავარძლიდან ამოიღო „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, შებრუნდა ამბროლაძისაკენ და მოკვლით დაემუქრა, ამბროლაძემ სცადა გოგუასთვის პისტოლეტის წართმევა, რა

⁷⁰ ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 225.

⁷¹ მ. ტურავა-სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2006 წ. გვ. 95.

⁷² ამ მაგალითში დაზარალებულისა და ბრალდებულის გვარები შეგნებულად შეცვლილია.

დროსაც გოგუამ მოახდინა რამდენიმე გასროლა, რის შედეგადაც ტყვიები მოხვდა როგორც ამბროლაძეს, რომელმაც მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, ასევე ამბროლაძის გვერდით მჯდომ მშვილდაძეს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. დაჭრილმა ამბროლაძემ იასარგებლა გოგუას სიმთვრალით, გამწარებულმა მარჯვენა ხელით წაართვა პისტოლექტი და რამდენჯერმე ესროლა, რადგან ფიქრობდა, რომ გოგუას ჰქონდა მეორე იარაღი, რომელსაც მის წინააღმდეგ გამოიყენებდა. მიყენებული ჭრილობების შედეგად გოგუა ადგილზე გარდაიცვალა.

სასამართლო კოლეგიამ ამბროლაძის ქმედება დააკვალიფიცირა როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს ჩადენილი მკვლელობა და განაჩენში მიუთითა, რომ ამბროლაძის მოქმედება, მის მიერ გოგუასადმი იარაღის წართმევამდე, იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, შემდეგ კი მან გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, რამდენადაც იარაღის წართმევის შემდეგ გოგუას მხრიდან ამბროლაძეზე ხელყოფა აღარ იყო რეალური და იმწუთიერი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ საესებით საფუძვლიანად არასწორად მიიჩნია კოლეგიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამბროლაძის მოქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის აღმოცენების შემდეგ, როცა მან იარაღი წაართვა გოგუას და მისი მიმართულებით გაისროლა აშკარად შეუსაბამო იყო მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. აღნიშნულის საფუძველად მიიჩნია, რომ ამბროლაძის ვარაუდი გოგუას მიერ მეორე იარაღის ამოსაღებად წინ გადახრასთან და მის საწინააღმდეგოდ გამოყენებასთან დაკავშირებით, არარეალური იყო, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ გოგუას მეორე იარაღი არ ჰქონია.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დიდი პალატა თვლის, რომ ამბროლაძის მხრიდან იარაღის წართმევით აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის შეწყვეტის პირობები ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამბროლაძეზე თავდასხმა იყო მარტოსაწინააღმდეგო ხასიათის, რეალური და იმწუთიერი, ამასთან მის მიერ გოგუასათვის იარაღის წართმევის შემდეგაც მისი სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე განვლილი არ იყო და იგი რეალურად იმყოფებოდა აუცილებელი მოერიების ფარგლებში, ვინაიდან გოგუას მხრიდან ამბროლაძეზე მართლაც წინააღმდეგო თავდასხმის განხორციელება შესაძლებელია იარაღის გარეშეც გაგრძელებულიყო, რის გამოც ამბროლაძე იძუ-

ლებული იყო წართმეული იარაღი გამოეყენებინა გოგუას მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.

ამდენად პალატას მიაჩნია, რომ იარაღის წართმევა ედამსხმელისათვის არ უნდა შეფასდეს საფრთხის გაუვნებელყოფად, თუ კი არსებობდა იმისი რეალური ვარაუდი, რომ თავდასხმა გაგრძელდებოდა, ხოლო ამ დროს ჩადენილი მკვლელობა არ უნდა დაკვალიფიცირდეს აიცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილ მკვლელობად, არამედ ის უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი მოგერიების მდგომარეობად.

გასათვალისწინებელა ის გარემოება, რომ ამბროლაძის ვარაუდი, რომ გოგუა იყო კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი და ეს უკანასკნელი პოლიციის მიერ იძებნებოდა, რეალურია. მისთვის ცნობილი იყო ისიც, რომ გოგუა შეიარაღებული დადიოდა. გარდა ამისა, მანქანაში იმყოფებოდა მესამე პირი გაბრიჩიძე, რომელიც ახლდა გოგუას და ამბროლაძემ არ იცოდა ის შეიარაღებული იყო თუ არა.⁷³

ამდენად, როგორც ვხედავთ ამბროლაძის მოქმედება ექცევა მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და ის არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ამიტომ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება, რომლითაც უდანაშაულოდ იქნა ცნობილი ამბროლაძე, სავსებით კანონიერია.

აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადამეტებით მკვლელობას მაშინ ექნება ადგილი, როცა მკვლელი თავდასხმელის (ხელმყოფის) მოსაგერიებლად გამოიყენებს ისეთ საშუალებებს, რომელიც მოსაგერიებლად აუცილებელი არ იყო.

აუცილებელი მოგერიებით ჩადენილი მკვლელობის მაგალითს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ განხილული საქმე. საქმის გარემოება არის შემდეგი:

თბილისში მცხოვრებ დ. ჭანტურიასთან დილით სტუმრად მივიდა მეგობარი დ. მითიაშვილი. ბინაში შესვლისთანავე დ. მითიაშვილმა, რომელიც უსაფუძვლოდ იყო განაწყენებული დ. ჭანტურიასზე, ჯერ ჯოხით სცემა მას, ხოლო შემდეგ ამოიღო დანა და დაარტყა ჭანტურიას თავის არეში, რითაც ამ უკანასკნელს მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. დ. ჭანტურიას ყვირილზე მეორე ოთახიდან

⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. თბ. 2002 წ. №2. გვ. 198-203.

გამოვიდა მისი დედინაცვალი მ. ჭანტურია, რომელმაც შეძლო დ. მითიაშვილის შეჩერება, დაამშვიდა იგი და გააცილა სახლიდან. ბინიდან გასვლისას დ. მითიაშვილი დ. ჭანტურიას მოკვლით დაემუქრა. იმავე დღეს დაახლოებით 12.00 საათზე დ. მითიაშვილი და დ. ჭანტურია მეგობრებთან—ა. მახარაძესთან და ზ. გელეიშვილთან ერთად კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრისას დ. ჭანტურია მეგობრებთან ერთად სთხოვა დ. მითიაშვილს, აესხნა განაწყენებისა და სხეულის დაზიანების მიზეზები, მაგრამ ამის მაგიერ დ. მითიაშვილმა კვლავ შეაგინა დ. ჭანტურიას დედა, ამოიღო უბიდან რკინის მოგრძო საგანი, დაახლოებით 20 სმ და მოუქნია დ. ჭანტურიას, რომელმაც უკან დაიხია. დ. ჭანტურია აღმოჩნდა რეალური საფრთხის წინაშე. იმაში დარწმუნებულმა, რომ მითიაშვილი კვლავ მიაყენებდა სხეულის დაზიანებას, გასხნა დანა და გადაამეტა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, ვინაიდან მისი მოქმედება არ შეესაბამებოდა მასზე განხორციელებულ თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებას. იგი მოქმედებდა რა არაპირდაპირი განზრახვით, შეგნებულად უშეებდა მოსალოდნელ მძიმე შედეგს—სიკვდილის დადგომას, მაგრამ არ სურდა ასეთი, დანა ერთხელ დაარტყა მისკენ მიმავალ მითიაშვილს მუცლის არეში, რა დროსაც ამ უკანასკნელს მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება. დანაშაულის ჩადენის შემდეგ დ. ჭანტურია მიიძალა შემთხვევის ადგილიდან, ხოლო მითიაშვილი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც იგი გარდაიცვალა.⁷⁴ ამ საქმეზე პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი განაჩენი კანონიერია და არ არსებობს მასში ცვლილების შეტანის საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლოს მიერ სწორადაა დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და მიცემული აქვს სწორი სამართლებრივი შეფასება.

§4. დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია

მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით,-

ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ

⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. თბ. 2002 წ. №12. გვ. 1954-1955

წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

სანამ ამ მუხლის კომენტარს დავიწყებდეთ, მანამდე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მუხლი, რომელიც დამნაშავეს შეპყრობას მართლწინააღმდეგობის გამოპირიციხველ გარემოებად მიიჩნევს.

ამ მუხლის (სსკ-ის 29-ე) თანახმად “მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად.”

უნდა აღინიშნოს ის, რომ მუხლში სიტყვა “დამნაშავე” პირობითად არის ნახმარი და მასში იგულისხმება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი ნებისმიერი პირი (ექვემიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი და ა. შ.) თუმცა ამ და სხვა მუხლში (მაგ., მუხლი 29) სიტყვა “დამნაშავე” არ უნდა იხმარებოდეს, რადგან მიგვაჩნია, რომ ამით ირღვევა ადამიანის უდანაშაულობის პრინციპი.

როგორც აღვნიშნეთ სიტყვა “დამნაშავე”-ში იგულისხმება ის პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას პირი, რომელიც სჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შერაცხადია თუ შეურაცხადი, რადგან საესებით შესაძლებელია შეურაცხადმა პირმა ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება. თუმცა ზოგიერთ ქართველ მეცნიერს მიაჩნია, რომ მართლსაწინარმდეგო ქმედების ჩადენა არ შეუძლია შეურაცხადს. მაგ., პროფ. გ. ნაჭყებია წერს, რომ “შეურაცხადი პირის ფაქტობრივად საშიში მოქმედების მართლწინააღმდეგობა შეუძლებელია, რადგან შეურაცხად პირს გონიერული საზრისით მოქმედება არ შეუძლია.”⁷⁵

ასეთი მსჯელობა ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, რადგან შეურაცხადის მიერ ჩადენილი ქმედება არ შეიძლება ჩავთვალოთ დანაშაულად ბრალის არ არსებობის გამო, თორემ შეურაცხადის ქმედება მართლსაწინააღმდეგო ხასიათს მოკლებული არც ერთ შემთხვევაში არ არის. განა შეიძლება ფსიქიკურად შეურაცხადის თავდასხმის მოგერიება არ ჩავთვალოთ აუცილებელ მოგერიებად? რა თქმა უნდა არ შეიძლება.

⁷⁵ გ. ნაჭყებია. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, დისერტაცია იურ. მეც. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1997 წ. გვ. 191.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლი იძლევა იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებსაც აქვს პირის დაკავების უფლება, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. პირი, რომელსაც აქვს დაკავების უფლება არის: პოლიციის თანამშრომელი, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის და იუსტიციის სამინისტროების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვს დააკავოს და დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი. ამ მუხლის პირველ წინადადებაში აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, თუ არსებობს ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძველია თუ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას.

ამ პირთა ჩამოთვლას და იმის გარკვევას თუ რა სტატუსის მქონე პირმა გადააცილა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელ ზომებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ პოლიციის თანამშრომლის ან ხელისუფლების სპეციალურად უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ჩაითვლება არა მარტო სსკ-ის 114-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად, რომლისთვისაც შეილება პასუხისმგებლობა დაეკისროს უშუალოდ ქმედების ჩამდენ პირს, არამედ აღნიშნული ქმედება უნდა იქნეს განხილული, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული სიცოცხლის უფლების ხელყოფა.

როგორც ვხედავთ, ნებისმიერ პირს აქვს უფლება შეიპყროს დამნაშავე ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად. ეს იმას ნიშნავს, რომ ამის უფლება აქვს არა მარტო ხელისუფლების წარმომადგენელს, არამედ ნებისმიერ ფიზიკურ პირსაც. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემპყრობმა არ უნდა გადააცილოს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის ფარგლებს.

თუ კი პირი ხელისუფლების წარმომადგენელია და ის გადააცილებს დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელ ზომას მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის

კოდექსის 114-ე მუხლით. ამასთან მის ქმედებას მიეცემა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული სიცოცხლის უფლების ხელყოფის კვალიფიკაცია და ამისათვის შესაძლოა სახელმწიფომაც აგოს პასუხი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის I პუნქტის მიხედვით “ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე განზრახ, გარდა კანონით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირის მსჯავრდების შემდგომ სასამართლოს განაჩენის აღსრულებისა.”

როგორც ვხედავთ კონვენციის მე-2 მუხლის I პუნქტი მოითხოვს, რომ სიცოცხლის უფლება კანონით იყოს დაცული. ამისათვის კი აუცილებელია სახელმწიფოებმა მიიღონ ისეთი კანონები, რომელთაც გათვალისწინებული იქნება სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობა, რაც თავის მხრივ ნიშნავს სიცოცხლის მოსპობის აკრძალვას.

ამ პუნქტის შინაარსიდან ნათლად ირკვევა, რომ კონვენცია დასაშვებად თვლის სიცოცხლის მოსპობის იმ ფორმას, რომელსაც სისრულეში მოჰყავს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პირი დამნაშავედ არის ცნობილი. მაგრამ სასიკვდილო განაჩენი კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული.⁷⁶

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად “სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.”

საქართველოს არც ერთ ორგანულ კანონში დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

როგორც ზემოთ ვნახეთ, სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს მხოლოდ დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებისათვის,

⁷⁶ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის № 6 ოქმი ეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოქმის ხელმომწერები იღებენ სიკვდილით დასჯის გაუქმების ვალდებულებას, რადგან ოქმის შესავალში აღნიშნულია სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის აკრძალვის ზოგადი ტენდენცია.

რომელსაც მოჰყვება დამნაშავეის სიკვდილი. სსკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად “დამნაშავეის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან.”

ამდენად, როგორც პროფ. ალ. კვაშილავა აღნიშნავს, “რაც უფრო მსუბუქია ჩადენილი დანაშაული, მით უფრო მსუბუქი უნდა იყოს დამნაშავეის შეპყრობის ზომები და პირიქით, რაც უფრო მძიმეა დანაშაული მით უფრო მკაცრი ზომის გატარება შეიძლება შესაპყრობად, მაგრამ კანონი მიუთითებს შეპყრობაზე და არა მკვლევლობაზე ან დაზიანებაზე. თუ შესაპყრობმა კანონიერ შემპყრობს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და საფრთხე შეუქმნა ამ უკანასკნელის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, შემპყრობი ავტომატურად იძენს აუცილებელი მოგერიების აქტის გამოყენების უფლებამოსილებას.”⁷⁷

დამნაშავეის შეპყრობის უფლების მინიჭება ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ მათ აქვთ მხოლოდ დამნაშავეის შეპყრობის უფლება და არა მოვალეობა. პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ მოქალაქის მიერ დანაშაულის დაფარვისა და შეუტყობინებლობისათვის. ხოლო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მუშაკებს აქვთ არა მარტო უფლება არამედ ვალდებულნიც არიან დააკავონ (შეიპყრონ) დანაშაულის ჩამდენი პირი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის II პუნქტი უშებს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. კონვენციის მე-2 მუხლის II პუნქტში აღნიშნულია, რომ “სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, როდესაც იგი არა უმეტეს აბსოლუტურად აუცილებელია ძალის გამოყენების შედეგად:

ა) ნებისმიერი პირის არამართლზომიერი ძალადობისაგან დასაცავად.

ბ) კანონიერი დაპატიმრების განხორციელების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევისათვის ხელის შეშლის მიზნით;

⁷⁷ პ. დაუთაშვილი, ალ. კვაშილავა. სისხლის სამართალი. (ზოგადი ნაწილი). თბ. 2003 წ. გვ. 112

ა) აჯანყების ან ამბოხების ჩახშობისათვის კანონიერად განხორციელებული მოქმედებისას.”

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმის გათავისუფლებას ვინც აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩაიდენს ქმედებას. ამ მუხლის თანახმად პირს აქვს უფლება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში დააზიანოს სხვა პირი. სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის თანახმად “მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.”

როგორც მუხლის ამ ნაწილიდან ირკვევა ხელმყოფის დაზიანება მოიცავს მის სიცოცხლის მოსპობასაც. მაგ., პროფ. ალ. კვაშილავა აღნიშნავს, რომ “მართლსაწინააღმდეგო ხელმყოფისათვის მართლზომიერი ზიანის მიყენების ფარგლები შეზღუდული არ არის. იგი მოიცავს ხელმყოფის, როგორც წესი, თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობასაც. მართალია, დაზიანებასა და მოსპობას შორის არის განსხვავება, მაგრამ შეუზღუდავი დაზიანება კანონიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ხელმყოფის სიცოცხლის მოსპობამდე შეიძლება გაგრძელდეს.”⁷⁸

როგორც სისხლის სამართლის 113-ე მუხლის კომენტარებისას აღნიშნეთ ამ საკითხზე იგივე დასკვნამდე მივიდა პროფ. ო. გამყრელიძე. იგი წერს, რომ “სიტყვა “ხელმყოფის დაზიანება” უფრო ფართო ცნებაა და მასში ყოველგვარი დაზიანება, მათ შორის, სიცოცხლის მოსპობაც უნდა ვიგულისხმოთ.”⁷⁹

§5. თვითმკვლელობამდე მიყვანა

თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატიური დამცირებით,-

⁷⁸ პ. დაუთაშვილი, ალ. კვაშილავა. სისხლის სამართალი. (ზოგადი ნაწილი). თბ. 2003 წ. გვ. 106

⁷⁹ ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართალი კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 222.

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პირის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანისათვის, რაც გამოწვეულია მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივისა და ღირსების სისტემატიური დამცირებით.

სისხლის სამართლის ძველი კოდექსის 109-ე მუხლის მიხედვით თვითმკვლელობამდე მიყვანა განიმარტებოდა, როგორც დამნაშავეისაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის თვითმკვლელობამდე ანდა თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატიურად დამცირებით.

როგორც ვხედავთ, ძველი კოდექსის მუხლის დისპოზიციით შევიწროებული იყო იმ პირთა წრე ვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა პირის თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის. ანუ თვითმკვლელი ან თვითმკვლელობის ცდამდე მისული პირი მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული იმ პირზე, რომლის ქცევამაც ან მოპყრობამაც მიიყვანა ის თვითმკვლელობის ცდამდე ან თვითმკვლელობამდე.

ახალი კოდექსის 115-ე მუხლის დისპოზიცია ისეა ჩამოყალიბებული, რომ იქ მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულ პირზე საუბარი არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეის მდგომარეობით გაფართოებულია სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის გამოყენების სფერო. ამის გამო სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი.

ობიექტი ამ დანაშაულისა არის იმ შერაცხადის სიცოცხლე, რომელიც მიიყვანეს თვითმკვლელობის ცდამდე ან თვითმკვლელობამდე. “შეურაცხის თვითმკვლელობაზე დაყოლიება განიხილება, როგორც შუალობითი ამსრულებლობა და დაკვალ-იფიცირდება შესაფერისი მუხლით განზრახ მკვლელობად.”⁸⁰

შერაცხადობას ყურადღება ექცევა იმდენად, რამდენადაც ნორმალურად მოაზროვნის თვითმკვლელობამდე მიყვანა დამოკიდებულია მის მიმართ მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა

⁸⁰ სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) 2002 წ. გვ. 93.

მისი პარტიის ან ღირსების სისტემატიური დამცირებით. ამდენად დამნაშავეს ქმედება საშიშროების თვალსაზრისით უფრო მძიმეა.

იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ქართული სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, ამიტომ პასუხისმგებლობის საფუძველია არა პირის საშიშროება, არამედ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება.

სუბიექტური მხარე გამოიხატება ქმედების განზრახ ჩადენაში. თუმცა პირის მიყვანა თვითმკვლელობის ცდამდე ან თვითმკვლელობამდე შეიძლება გაუფრთხილებლობითაც. მაგრამ ასეთ შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, რადგან ამ დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენაზე კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში მითითებული არ არის. ამიტომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია სისხლის სამართლის კოდექსის 10-ე მუხლის მე-4 ნაწილზე დაყრდნობით.

იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს განსახილველი მუხლით უნდა არსებობდეს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. მუქარა;
2. სასტიკი მოპყრობა;
3. პარტიისა და ღირსების სისტემატიური დამცირება;

ამ სამი გარემოებიდან ერთ-ერთის არსებობა თუკი ამან გამოიწვია პირის თვითმკვლელობამდე მიყვანა სავსებით საკმარისია ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის.

მუქარა გამოიხატება დაზარალებულის ინფორმირებაში ფიზიკური ძალადობის გამოყენებაზე, მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნებაზე, მისი ახლო ნათესავის სხეულის დაზიანების ან მოკვლის თაობაზე და ა. შ.

მუქარა, თუ მან გამოიწვია პირის თვითმკვლელობამდე მიყვანა უნდა ვაღიაროთ იმ სახის მუქარად, რომელიც გაცნობიერებულ და რეალურად აღქმულ იქნა დაზარალებულის მიერ სხვა შემთხვევაში პირი თავს არ მოიკლავდა.

კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა მუქარა იმწუთიერი თუ (მაგალითად, მუქარა ქმნის ძალადობის ან სხვა ქმედების დაუყოვნებლივ გამოყენების საშიშროებას) მომავალში განხორციელდება (მაგალითად, მუქარა ქმნის ძალადობის ან სხვა ქმედების მომავალში განხორციელების სასიშროებას).

სასტიკი მოპყრობა ეს იგივე არაადამიანური მოპყრობაცაა, რომელიც ამავე დროს ღირსების შემლახავიცაა. სასტიკი მოპყრობა ისეთი მოპყრობაა, რომელიც გამიზნულად აყენებს ადამიანს მძიმე ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას.

ადამიანისადმი სასტიკი მოპყრობა ან პატივისა და ღირსების სისტემატიური დამცირება რა დროსაც იგი უხეშად შეურაცხევებს სხვების წინაშე იძულებულს ხდის პირს იმოქმედოს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ.

“სასტიკი მოპყრობა— აღნიშნავს პროფ. გ. ტყეშელიაძენიშნავს დაზარალებულისადმი დამნაშავეის უსულგულო, უხეშ დამოკიდებულებას, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს. სასტიკი მოპყრობა ფართო მოცულობის შეფასებითი ცნებაა. იგი მოიცავს სხვადასხვა ქმედებას, რომელიც დაზარალებულს ფიზიკურად და ფსიქიკურად ტანჯავს (ცემა, გვემა). ცხოვრების საარსებო საშუალებების აღკვეთა, თავისუფლების შეზღუდვა, სახლიდან განდევნა და ა. შ.

რაც შეეხება პატივისა და ღირსების სისტემატიურ დამცირებას ის შეიძლება გამოიხატოს გამუდმებულ შეურაცხყოფაში, ცილისწამებაში, დაზარალებულის ფიზიკური ნაკლის ცინიკურ დაცინვაში და ა. შ.⁸¹

§6. სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

*1. სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით,-
ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე*

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ,-

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე

იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს, როგორც განზრახ ისე გაუფრთხილებლობით, თუმცა გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში.

სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი ითვალისწინებს არა განზრახ მკვლელობას, არამედ სიცოცხლის მო-

⁸¹ სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) 2002 წ. გვ. 93.

სპობას გაუფრთხილებლობით (თვითიმედოვნების და დაუდევრობის ფორმით). ეს ორი დანაშაული არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სისხლის სამართლის ძველი კოდექსი იცნობდა გაუფრთხილებლობით მიკვლელობას, თუმცა მუხლის ასეთი სახით არსებობა გამართლებული არ იყო, ვინაიდან ადამიანის შეგნებაში მიკვლეობა ყოველთვის იყო და დღესაც არის დაკავშირებული სიცოცხლის განზრახ მოსპობასთან, ამიტომ მეცნიერთა მიერ არაერთი რეკომენდაციისა ვერ იქნა გასწორებული მუხლის შინაარსი. მხოლოდ 1999 წლის 22 ივლისს მიღებულ კოდექსში მოხერხდა ამ საკითხის მოწესრიგება.

ამ დანაშაულის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, ხოლო ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სხვისი სიცოცხლის მოსპობაში.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის I ნაწილის თანახმად “გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.”

სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის II ნაწილის მიხედვით “ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ შედეგს თავიდან აიცილებდა.”

როგორც ვხედავთ, თვითიმედოვნებისას პირს გათვალისწინებული აქვს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ შედეგს თავიდან აიცილებს.

ამ საკითხზე სწორად მსჯელობს პროფ. მ. ტურავა და მას მოჰყავს ასეთი მაგალითი, “ა.-მ ფანჯრიდან გაფუჭებული უთო გადმოაგდო, რომელიც თავზე დაეცა ბ.-ს და მოკლა. ა.-მ დაარღვია წინდახედულობის ნორმა. ამასთან, იგი მოქმედებდა არა განზრახვით, არამედ თვითიმედოვნებით. ამ დროს პირმა იცის, რომ სჩადის აკრძალულ, გასაკიცხ ქმედებას, რომელიც აკრძალულია წინდახედულობის ნორმებით და ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს. ამასთან თვითიმედოვნების დროს პირმა იცის, რომ მიუხედავად ქმედების გასაკიცხაობისა ზოგადად, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა აბსოლიტურად გამორიცხებულია, მაგრამ პირის დარწმუნებულობა იმის შესახებ, რომ შედეგი არ დადგება, არის

უსაფუძვლო. იმ შემთხვევაში კი, როცა პირი უშვებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას, გვექნება არა თვითიმედოვნება, არამედ არაპირდაპირი განზრახვა. ამ უკანასკნელის დროს პირი უშვებს, რომ შედეგი ან დადგება ან არა.”⁸²

ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს თვითიმედოვნებით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობა და არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობის ჩადენა. ამ საკითხზე საინტერესოდ მსჯელობენ ისეთი ავტორიტეტული მეცნიერები, როგორებიცაა პროფ. ო. გამყრელიძე, გ. ტყეშელიაძე, თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი და სხვ. მაგალითად, პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ “წინდაუხედაობა (თვითიმედოვნება) არაპირდაპირ განზრახვას ემიჯნება. შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების ერთი ელემენტი წინდაუხედაობის დროს დაახლოებით ისევეა გამოხატული, როგორც არაპირდაპირი განზრახვის დროს. დაახლოებით, იმიტომ ვამბობთ, რომ შედეგის განხორციელების შესაძლებლობის წარმოდგენა წინდაუხედაობის დროს აბსტრაქტულია, მაშინ, როცა არაპირდაპირი განზრახვის დროს ეს წარმოდგენა კონკრეტულია.”⁸³

თუ ზემოთ მოყვანილ მსჯელობებს დავეყრდნობით, მაშინ მივაღწეოთ იმ დასკვნამდე, რომ ერთი მხრივ თვითიმედოვნების დროს პირი ითვალისწინებს სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას ჩვეულებრივ, მსგავს სიტუაციებში და არა ამ კონკრეტულ ვითარებაში, რადგან ფიქრობს, რომ შედეგი ამ შემთხვევაში საკუთარი გამოცდილების იმედზე ან სხვა ნებისმიერ ფაქტორზე დაყრდნობით თავიდან იქნება აცილებული. რაც შეეხება, არაპირდაპირი განზრახვის დროს ჩადენილ მკვლელობას ამ შემთხვევაში პირი ითვალისწინებს სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას ამ კონკრეტულ სიტუაციებში.

მეორე მხრივ, თვითიმედოვნებით სიცოცხლის მოსპობის გამიჯვნა არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი მკვლელობისაგან უნდა მოხდეს ნებელობითი ასპექტის გათვალისწინებითაც, რადგან თვითიმედოვნებისას პირი დარწმუნებულია, რომ მისი მართლსაწინააღმდეგო ქცევის შედეგს, რომელიც შეიძლება დადგეს თავიდან აიცილებს. ხოლო არაპირდაპირი გან-

⁸² მ. ტურავა – სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2006 წ. გვ. 63.

⁸³ ო. გამყრელიძე – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ 2005 წ. გვ. 115

ზრახვის შემთხვევაში პირი არაფერს არ აკეთებს რათა თავიდან აიცილოს შედეგი (სიკვდილის დადგომა) თუმცა არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას ან გულგრილად ეკიდება მას.

“განმასხვავებელი ნიშანი არაპირდაპირ განზრახვასა და წინდაუხედაობას შორის – წერს პროფ. ო. გამყრელიძე – ნებულობით ასპექტშია საძიებელი. არაპირდაპირი განზრახვის დროს მოქმედი უშვებს შედეგს, ეგუება მის განხორციელებას, გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას. რაც შეეხება წინდაუხედაობას, ამ დროს მოქმედი დარწმუნებულია, რომ შედეგი, რომელიც მის მართლსაწინააღმდეგო ქცევას შეიძლება მოჰყვეს, არ დადგება, არ განხორციელდება. მოქმედი ამ დროს თავისი ქცევის გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ იღებს, როცა დარწმუნდება, რომ შედეგი არ განხორციელდება. მაგრამ ეს რწმენა, ეს ვარაუდი, უსაფუძვლოა, მცდარია.”⁸⁴

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გაუფრთხილებლობითი სიცოცხლის მოსპობა შესაძლებელია დაუდევრობის ფორმითაც. სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის III ნაწილის თანახმად “ქმედება დაუდებრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.”

⁸⁴ ო. გამყრელიძე – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ 2005 წ. გვ. 115-116

ბამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ტურავა. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2006 წ.
2. ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ.
3. თ. ფანჯიკიძე. სისხლის სამართალი. (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.) თბ. 2003 წ.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. 2001 წ.
5. ზ. წულაია, სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. თბ. 2000 წ. ტ.1.
6. მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), ლექციები. თბ. 1996 წ.
7. ალ. კვაშილავა, დანაშაულის კვალიფიკაციის თეორიული პრობლემები და სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2002 წ.
8. ზ. წულაია, სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. თბ. 2000 წ.
9. ზ. მუჟანაძე, სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ქუთაისი 2000 წ.
10. ბ. ფურცხვანიძე – საბჭოთა კანონმდებლობა მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. 1964 წ.
11. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე – დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბ. 1980 წ.
12. სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური და-ნაშაულები). თბ. 2004 წ.
13. ო. გამყრელიძე- სასამართლო პრაქტიკის ერთი საკითხის განმარტებისათვის “მართლმსაჯულების მაცნე” 1998 წ. № 4. გვ. 37-39.
14. ო. გამყრელიძე- დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამონაწილეობა. თბ. 1974 წ.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 6 ივლისის № 5 დადგენილება “განზრახ მკვლელობის საქმეებზე”
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. თბ. 2002 წ
17. ა.ა. პიონტკოვსკი – დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბილისი. 1940. წ.

18. ბ.ფურცხვანიძე. დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. თბილისი 1960. წ.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სს საქმეებზე. თბილისი 2001. №12
20. მ. ლეკვეიშვილი – ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზოგიერთი თავისებურება ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. თბ. 2000 წ. ჟურ. “სამართალი” № 6-7.
21. თ. გორდელაძე – სასამართლო მედიცინა, თბ. 2001 წ.
22. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბ. 1990 წ
23. თ. ჯუსოევი – ახალშობილის მკვლელობის საკითხისათვის. ჟურ. “საბჭოთა სამართალი” 1989 წ. №1.
24. სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) თბ. 2002 წ.
25. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. II. 1977 წ.
26. მ. ტურავა – სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2006 წ.
27. პ. დაუთაშვილი, აღ. კვაშილავა- სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ. 2003 წ.
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. თბ. 2002 წ. №2.
29. გ. ნაჭყებია. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, დისერტაცია იურ. მეც. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1997 წ.
30. В.Д.Меньшагин,З.А.Вышенская. Советское уголовное право. 1950.
31. Советское государство и право. М., 1962. №11.
32. Н.И.Загородников,Преступления против жизни. М., 1961.
33. С.Б.Бородин. Квалификация убийства. М., 1963.
34. А.В.Наумов. Мотивы убийства. Волгоград. 1969.
35. В.А.Влидимеров. Квалификация похищений личного имущества. М., 1974.
36. «Усиление охраны личной собственности граждан» М., 1948.
37. Н.Таганцев. О преступлениях против жизни по русскому праву. М., 1902. часть I.
38. Н.И. Загородников – Преступления против жизни по советскому уголовному праву. М. 1961 г.
39. W. Sauer. Allgemeine strafrechtslehre, Berlon. 1955. s. 202